# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 29 მარტი 2001 №55 (1328) | ფასი 50 თეთრი




# ჩუმად, თავი დახარეთ!



## საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ფეხბურთის თამაში არ იცის!

# 0:2

კარგი მინდორი უნდოდათ, მიიღეს! ოვაციით უნდოდათ შეხვედროდნენ, შეხვდნენ! „კონკურენტებმა" ქულები დაკარგეს, ყველა პირობა შეუქმნეს — მაგალითად, უნგრეთმა შინ ლიტვასთან ფრედ ითამაშა. ბილეთის ფასი თუმანი იყო. ხალხმა გამოფხეკილ ჯიბეებში ბოლო ან ბოლოსწინა თუმნიანი იპოვა და გაიღო! ყოველივე ამის პასუხად კი საქართველოს ნაკრებმა ზიზიანი და უნიჭობა შემოგვთავაზა. ასეთი იყო გუნდის პასუხი.


საქართველო — რუმინეთის მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე, მსოფლიოს ჩემპიონატის სხვა შესარჩევი შეხვედრების ანგარიშები — მეთხუთმეტეზე




რუმინელებმა თავისი გაიტანეს, ქართველებმა თავისი გაუშვეს

# საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ეროვნული გუნდი არ არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ჯინი კოკა კოლას ბოთლში

## გადაიხადეთ 10 ლარი და... მიიღეთ შეურაცხყოფა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

**საქართველო 0:2 რუმინეთი**

28 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი. 27 000 მაყურებელი

0:1 დ. მუნტიანუ (69), 0:2 კონტრა (81)

**საქართველო**

1. გვარამაძე
2. სილაგაძე
6. კალაძე
5. ხიზანიშვილი
3. კობიაშვილი
4. რეხვიაშვილი
7. ნემსაძე
9. ქეცბაია
8. ყაველაშვილი
10. ქინქლაძე
11. შ. არველაძე

**რუმინეთი**

9. მოლდოვანი
11. ილიე
10. კოდრია
5. კ. მუნტიანუ
8. დ. მუნტიანუ
6. რადოი
7. კიბუ
4. ფილიპესკუ
2. კონტრა
3. პროდანი
1. სტელია

შეცვლა: ილიე — 17. ნიკულაე (21), ყაველაშვილი — 16. ზ. ჯანაშია (52), რადოი — 15. გალკა (57), ქეცბაია — 17. ჭემოკლიძე (60), სილაგაძე — 15. იაშვილი (72), მოლდოვანი — 18. სტოიკა (87)

გაფრთხილება: კიბუ (42), კ. მუნტიანუ (57), ჭემოკლიძე (77)

მსაჯები: რუნე პედერსენი; ერიკ რასტადი, სტეინარ ჰოლვიკი; ტერიე ჰაუგე (ყველა ნორვეგია)

ფიფას კომისარი: ჟილბერ ფაკინეტი (შვეიცარია)

ჯარიმა: 17:23; კუთხური: 2:7; კარისკენ დარტყმა: 8:6; კარში დარტყმა: 2:6; თამაშგარე: 3:4

**ოლია ბაბუნაშვილი**

**წუხელ** „სარბიელის" რედაქციაში ხალხი რეკავდა. დაწერეთ, რომ მერე მოდიოდა მკვახე-მკვახე. ეს ის ხალხი იყო, შეხვედრის დამთავრებისთანავე, ტრიბუნიდან მიზანში სტვენით რომ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ევროპის ლამაზსახელიან გუნდებში მოკონტაქტეებისა და მათი თავკაცებისადმი. ეს ის ხალხი იყო, რომელსაც სულაც არ სურდა ტრიბუნიდან კოკა კოლას ბოთლების მოედანზე სროლა. ამ ხალხს იმ კოკა კოლას დალევა უნდოდა, მაგრამ მერამდენედ გამოიყვანეს წყობიდან. როგორ გაბედეთ და იმედი გაგიჩნდათ, თავი ადამიანები ხომ არ გგონიათო.

და აირია მტყუან-მართალი. ერთ ქვაბში მოიხარშა ყველა, ვინც საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა, მოკრძალებულიცა და თავხედიც, გულიანიც და უგულოც.

ჩვენგან არაფერს ვამატებთ, ტრიბუნაზე მოსმენილს ვიმეორებთ. აქედან და იქიდან ისმოდა: ნახე, ნახე, ჯანაშიას პასს არ აძლევენ. ნახე, ნახე, აღარც ჯანაშია აწვდის.

როდემდე უნდა ითმინოს ხალხმა ეს შეურაცხყოფა? ან იქნებ მათ ეს მოუნდენათ? თუ ასეა, მაშინ ჩვენს ნაკრებს ამაოდ ჰყოლია მწვრთნელები. გამოდის, რომ ისინი ეზოს ფეხბურთის დონის საკითხებშიც ვერ არკვევენ მოთამაშეებს. მაგალითად, ისეთში, როგორიც უკეთეს პოზიციაში მყოფი თანამებრძოლისთვის ბურთის გადაწოდებაა.

ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობს გუნდი (მისი წევრი მოკრძალებულიცა და თავხედიც, გულიანიცა და უგულოც), რომლისთვისაც ბურთის მოპოვების ერთადერთი ხერხი მოწინააღმდეგის მიერ მისი დაკარგვაა. ძალიან საინტერესოა, როდის ითამაშა რომელიმე ევროპულმა გუნდმა ბოლოს ასეთი ნელი, ზოზინა ფეხბურთი?

ძალიან საინტერესოა, რა საჭიროა ნახევარდაცვა, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ გუნდი თერთმეტ კაცამდე შეივსოს?

მართლა ძალიან საინტერესოა, რატომ თამაშობს ორ ტაიმს თვეობით ნამკურნალევი, პრაქტიკანაკლული ფეხბურთელი (გიორგი ქინქლაძე)? ნუთუ მისი ამპლუისა სხვა არავინ იყო? და ჯანმრთელი გოჩა ჯამარაული? თუ ისიც დაშავებული იყო? როდის დაშავდა? რა შეემთხვა? წინასწარ რატომ არ ითქვა მისი ტრავმის ან ცუდი ფორმის შესახებ?

ისევ არ ვამატებთ ჩვენგან არაფერს, ისევ ტრიბუნაზე ყურმოკრულს ვამბობთ, თანაც თამაშის დაწყებამდე ნათქვამს, დღეს გოლს ოცდაათი მეტრიდან გაგვიტანენო. ისემც ყველაფერი აგიხდეს. ხალხი ბრძენია, წინასწარმეტყველებაშიც და სტვენაშიც.

როდესაც ხალხიც კი შიშობს, ოცდაათი მეტრიდან არ გაგვიტანონო, მით უფრო უნდა შიშობდეს გუნდი. მეტიც, გუნდი უნდა ზრუნავდეს, რომ იმ ოცდაათი მეტრიდან მეტოქეს არ დაარტყმევინოს, ხოლო როგორ, ამისათვის მწვრთნელი და, მით უმეტეს, მწვრთნელები უნდა არსებობდნენ. თან, აქ ხომ ერთხელ გაშვებაზეც აღარ ვლაპარაკობთ.

შემოგვედავებიან, ეგეთ დარტყმებს მეკარე უნდა იგერიებდესო, მაგრამ თუ ცნობილია, რომ ვერ იგერიებს? ნუთუ გამოუვალი მდგომარეობაა? მეკარის შეცდომებს ვერავინ უარყოფს, მაგრამ თითის მისკენ გაშვერა არ შეიძლება, უსამართლობაა. ხალხს კოკა კოლას ბოთლები გვარამაძისთვის არ უსვრია. იმიტომ, რომ ხალხმა ძალიან კარგად იცის შეცდომასა და უნიათობას შორის განსხვავება. შეცდომა ყველას მოსდის და მისთვის არავის ასამართლებენ, ათასჯერ გამოვლენილი უგულობა, ზოზინი და უნიჭობა კი სულ სხვა საქმეა. შეცდომა იყო შოთა არველაძის მიერ მარტივ სიტუაციაში ბურთისთვის თავის აცილება, მაგრამ თამაში ამიტომ არ წაგვიგია.

და საერთოდ, ჩვენ ეს თამაში კონკრეტული ანგარიშით არ წაგვიგია, ზნეობრივად წავაგეთ.

თუმცა რატომ ჩვენ?

მინდორი უნდოდათ — მიიღეს!

ოვაციით შეხვედრა უნდოდათ — მიიღეს!

პრესის პირველ გვერდებზე და ტელევიზიით გამოჩენა უნდოდათ — მიიღეს!

ბილეთის ფასი თუმანი იყო — ხალხმა გაიღო!



შოთა არველაძის თავი ბურთს ასცდა, ბურთი — რუმინელთა კარს

## მატჩის შემდეგ

**ნამატჩევს** ქართველ ფეხბურთელებს დანა პირს არ უხსნიდა, გასახდელიდან გამოსვლას არავინ ჩქარობდა, ავტობუსამდეც უხმოდ, თავჩაქინდრულნი მივიდნენ და რაღა გასაკვირია, რომ ლაპარაკის სურვილიც არ ჰქონდათ. სათქმელიც არაფერი იყო, ვის რა ეთქმოდა, სამაგიეროდ, რუმინელები ენაწყლიანობდნენ. სტუმრები გამორჩევით თულიან ფილიპესკუს ულოცავდნენ, ბუნებრივიც იყო, გუშინდელ მატჩში რუმინელთა მეოთხე ნომერი დღეს იუბილარია, 27 წლის გახდა.

„ამაზე დიდ საჩუქარს ჩემს თავს ვერ გავუკეთებდი. მოვიგეთ და დღეს ეს ჩემთვის უმთავრესია. მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა, რადგან იტალიასთან შინ დამარცხებამ ლამის ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შევინარჩუნეთ" — თქვა ფილიპესკუმ.

შოთა არველაძის და თემურ ქეცბაიას მსგავსად დოპინგ-კონტროლზე გაიყვანეს დორინელ მუნტიანუ. სამეცინო პუნქტისკენ მიმავალმა გამარჯვების ნიშნად ლათინური „V" გამოსახა თითებით... „ქართველებმა წინააღმდეგობა კი გაგვიწიეს, მაგრამ მოსაგებად ვიყავით შემართულნი და საწადელს მივაღწიეთ. ჩინებულ ხასიათზე მივდივართ სამშობლოში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ ურთულესი მატჩები გველის, თქვენს გუნდს კი რუმინეთის გარდა ყველასთან წარმატებას ვუსურვებ".

კოსმინ კონტრა კი ხალისით ყვებოდა იმ ეპიზოდს, გვარამაძის კარში მეორე გოლი რომ გაიტანა: „ბურთის მიღების დროს სრულიად თავისუფალი ვიყავი და დაუყოვნებლივ კარში დარტყმა გადავწყვიტე. მცველს რომ არ მოხვედროდა ბურთი, მგონი, მაინც გოლი გავიდოდა, რადგან დარტყმა ზუსტი და ძლიერი გამომივიდა... საჭირო სამი ქულა ავიღეთ, ჩემი თანაგუნდელები მთლიანობაში თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ. ამიტომაც მატჩის განმავლობაში ჩვენს გამარჯვებაში წამითაც არ შემპარვია ეჭვი".

**გაატა ძვანტალიანი**

## პრესკონფერენცია

**ლადისლაუ ბოლონი** (რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი):

— მოგებული გუნდის მწვრთნელი ვარ და ახლა ჩემთვის იოლია ლაპარაკი. ძალიან მიხარია, დაგეგმილი რომ შევასრულეთ და თბილისში სამი ქულა მოვიპოვეთ. ფეხბურთელებმა მოსაგებად ყველაფერი გააკეთეს, მადლობა მათ. ქართველები კი ხელს მთლად ნუ ჩაიქნევთ, შანსი კიდევ გაქვთ. იტალიაში საქართველოს ნაკრების თამაშს დავესწარი და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა, რომელიც არც ახლა შემცვლია. ჩემთვის მატჩის წინ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენი თავდამსხმელით ითამაშებდა მეტოქე. ჯანაშია იმიტომ ვათამაშეთ, რომ ქომაგებმა მოითხოვეს. ამიტომაც გუნდში გარკვეული ტაქტიკური გადაადგილება მოხდა. მოედანზე ჯანაშიას შესვლის შემდეგ თამაში სამი საყრდენი ნახევარმცველით გავაგრძელეთ.

**რევაზ ძოძუაშვილი** (საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანი):

— მე და დავით ყიფიანი ვიყოფთ წაგებულ თამაშზე პასუხისმგებლობას. კარგი გაკვეთილი იყო, აქედან სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ნაკრებს ერთი პრობლემა აქვს, რომელიც ამდენი ხანია, ვერაფრით მოვაგვარეთ — მეკარე გვარამაძემ ვერ შეძლო დღეს ჩვენი გადარჩენა.

**დავით ყიფიანი** (საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანი):

— მეტოქემ სისწრაფით დაგვჯაბნა. ნახევარდაცვის უსუსური თამაშის გამო წავაგეთ. დღეს რომ ქინქლაძის ნაცვლად ჯამარაულს ეთამაშა, მაშინ იტყოდით, ქინქლაძე რატომ არ დააყენეთო. მათი ერთდროულად მოედანზე ყოფნა კი, ვთვლი, წამგებიანია. ისინი ერთი ყაიდის ფეხბურთელები არიან. ერთზე მეტი თავდამსხმელით რომ დაგვეწყო თამაში, მაშინ დაცვასა და ნახევარდაცვაში დაგვაკლდებოდა ფეხბურთელი. ამ ნიჭიერმა თაობამ იმედი ვერ გაამართლა, მათ მეტის მიღწევა შეეძლოთ. ნაკრებში, გარწმუნებთ, ყველა ფეხბურთელი თავის ადგილას დგას, ზედმეტის კეთების უფლებას არავის მივცემთ. დარწმუნებული ვარ, ნაკრებს წლეულს გადამწყვეტი მატჩი კიდევ ექნება.



ქართველებმა რუმინელთა მეკარე ბოგდან სტელეა ერთი-ორჯერ თუ შეაწუხეს

# საქართველოს ეროვნული გუნდის

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

27.05.90 ამ საქართველო 2:2 ლიტვა
გურული, კაჭარავა
02.07.91 ამ მოლდოვა 2:4 საქართველო
ქეცბაია, დარასელია,
მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი
02.09.92 ამ ლიტვა 1:0 საქართველო
17.09.92 ამ საქართველო 6:3 აზერბაიჯანი
ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია,
შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92 ამ კვიპროსი 1:0 საქართველო
25.05.93 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94 მტ სლოვენია 1:0 საქართველო
10.02.94 მტ მალტა 0:1 საქართველო
ქეცბაია
12.02.94 მტ ტუნისი 0:2 საქართველო
ყაველაშვილი, კუდინოვი
23.02.94 ამ ისრაელი 2:0 საქართველო
11.06.94 ამ ნიგერია 5:1 საქართველო
რ. არველაძე
26.06.94 ამ ლატვია 1:3 საქართველო
დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
19.07.94 ამ საქართველო 1:1 მალტა
შ. არველაძე
07.09.94 ეჩშმ საქართველო 0:1 მოლდოვა
12.10.94 ეჩშმ ბულგარეთი 2:0 საქართველო
16.11.94 ეჩშმ საქართველო 5:0 უელსი
ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
14.12.94 ეჩშმ ალბანეთი 0:1 საქართველო
შ. არველაძე
29.03.95 ეჩშმ საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95 ეჩშმ საქართველო 2:0 ალბანეთი
შ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95 ეჩშმ უელსი 0:1 საქართველო
ქინქლაძე
06.09.95 ეჩშმ გერმანია 4:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.95 ეჩშმ საქართველო 2:1 ბულგარეთი
შ. არველაძე, ქინქლაძე
15.11.95 ეჩშმ მოლდოვა 3:2 საქართველო
დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.)
27.03.96 ამ კვიპროსი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ჯამარაული
24.04.96 ამ რუმინეთი 5:0 საქართველო
[illegible].05.96 ამ საბერძნეთი 2:1 საქართველო
გოგრიჭიანი
01.09.96 ამ ნორვეგია 1:0 საქართველო
09.10.96 მჩშმ იტალია 1:0 საქართველო
09.11.96 მჩშმ საქართველო 0:2 ინგლისი
05.12.96 ამ ლიბანი 4:2 საქართველო
იაშვილი, კიკნაძე
08.12.96 ამ ლიბანი 3:2 საქართველო
გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97 ამ საქართველო 7:0 სომხეთი
შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2,
ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97 მჩშმ ინგლისი 2:0 საქართველო
07.06.97 მჩშმ საქართველო 2:0 მოლდოვა
შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97 მჩშმ პოლონეთი 4:1 საქართველო
შ. არველაძე
10.09.97 მჩშმ საქართველო 0:0 იტალია
24.09.97 მჩშმ მოლდოვა 0:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.97 მჩშმ საქართველო 3:0 პოლონეთი
ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
06.02.98 მტ საქართველო 2:1 ლატვია
ჯამარაული 2
08.02.98 მტ საქართველო 3:0 ალბანეთი
ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98 მტ საქართველო 3:1 მალტა
ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98 ამ ტუნისი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
30.05.98 ამ საქართველო 1:1 რუსეთი
ზ. ჯანაშია
12.08.98 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
19.08.98 ამ უკრაინა 4:0 საქართველო
05.09.98 ეჩშმ საქართველო 1:0 ალბანეთი
ა. არველაძე
10.10.98 ეჩშმ ლატვია 1:0 საქართველო
14.10.98 ეჩშმ საბერძნეთი 3:0 საქართველო
18.11.98 ამ საქართველო 3:1 ესტონეთი
აშვეთია 2, დ. ჯანაშია
20.03.99 ამ საქართველო 0:1 უკრაინა
27.03.99 ეჩშმ საქართველო 1:1 სლოვენია
ზ. ჯანაშია
28.04.99 ეჩშმ საქართველო 1:4 ნორვეგია
ზ. ჯანაშია
30.05.99 ეჩშმ ნორვეგია 1:0 საქართველო
05.06.99 ეჩშმ საქართველო 1:2 საბერძნეთი
ქეცბაია
04.09.99 ეჩშმ სლოვენია 2:1 საქართველო
შ. არველაძე
08.09.99 ეჩშმ საქართველო 2:2 ლატვია
შ. არველაძე, ყაველაშვილი
09.10.99 ეჩშმ ალბანეთი 2:1 საქართველო
შ. არველაძე
02.02.00 კტ სლოვაკეთი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ყაველაშვილი
04.02.00 კტ რუმინეთი 1:1 (4:2) საქართველო
ქეცბაია
06.02.00 კტ საქართველო 2:1 სომხეთი
ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი
28.03.00 ამ ისრაელი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
26.04.00 ამ სომხეთი 0:0 საქართველო
04.06.00 ამ აზერბაიჯანი 0:0 საქართველო
11.06.00 ამ ესტონეთი 1:0 საქართველო
16.08.00 ამ ირანი 2:1 საქართველო
ყაველაშვილი
07.10.00 მჩშმ ლიტვა 0:4 საქართველო
ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
11.10.00 მჩშმ იტალია 2:0 საქართველო
14.02.01 ამ საქართველო 0:0 უკრაინა
28.03.01 მჩშმ საქართველო 0:2 რუმინეთი

**სულ: 69 თამაში, 23 მოგება, 12 ფრე, 34 წაგება, ბურთები 87:95**

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშმ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშმ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სრული გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 2002 | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დანდი (შოტლანდია) | 30 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 54 | 0 | 12 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 24 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 47 | 5 | 3 | 0 |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 22 | 5 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 2 | 3 | 0 | 0 | 46 | 15 | 6 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 17 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 40 | 8 | 2 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 20 | 6 | 4 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 39 | 9 | 7 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი (ჰოლანდია) | 15 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 37 | 14 | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 14 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 31 | 0 | 3 | 0 |
| არჩილ არველაძე | თ | 22.02.73 | კიოლნი (გერმანია) | 13 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 29 | 5 | 2 | 0 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.69 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 1 | 2 | 0 |
| კახა კალაძე | მ | 22.02.78 | მილანი (იტალია) | 11 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 26 | 0 | 4 | 1 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 10 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 4 | 1 |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გელა შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| დავით გვარამაძე | მკ | 08.11.75 | ტორპედო | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0 | 0 |
| ლევან სილაგაძე | მ | 04.08.76 | ტორპედო | 14 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 18 | 0 | 2 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 10 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 17 | 1 | 2 | 0 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | ტორპედო | 8 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | 0 | 0 | 0 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26.09.76 | რეალ სოსიედადი (ესპანეთი) | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09.11.77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 1 | 2 | 0 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | თამაში მიატოვა | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15.09.69 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| გივი დიდავა | მ | 26.03.76 | ტორპედო | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 2 | 0 |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23.09.68 | თამაში მიატოვა | 7 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | დანდი (შოტლანდია) | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ტორპედო | 6 | 9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 13 | 0 | 0 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26.04.76 | ფრაიბურგი | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 1 | 0 |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15.05.72 | უგუნდო | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 | 0 |
| სოსო გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 4 | 2 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ჟემჩუჟინა (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქვარ საბა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა წერეთელი | მ | 17.01.79 | უგუნდო | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20.02.68 | თამაში მიატოვა | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 0 | 0 |
| რატი ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | ტორპედო | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | ტორპედო | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 2 | 0 |
| კახა სიდამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| გია გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06.07.75 | ტორპედო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| დავით ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02.06.72 | ალანია (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | ტორპედო | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09.09.68 | თურანი (თაუზი, აზერბაიანი) | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | მერანი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | იბერია | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | უგუნდო | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16.12.73 | კრისტალი (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია ჩხაიძე | მ | 23.02.70 | მერანი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გია ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ერზურუმსპორი (თურქეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05.10.75 | მერანი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02.12.71 | სოკოლი (სარატოვი, რუსეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11.05.79 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური გაბისკირია | ნ | 01.09.68 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გემეზაშვილი | მ | 06.07.77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18.07.78 | მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ თორღაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | დინამო (ბარნაული, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ლიკ (საბერძნეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | დილა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | სოკოლი (სარატოვი, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | მ | 13.09.73 | ცსკა (კიევი, უკრაინა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

# ელიკაშვილი თავ-დადებულია

## ხაშურში 200 ლარიან ფეხსაცმელს ისვრიან

**გამსკდარი** წარბი, ჩალურჯებული თვალი... აშკარად შეხლა-შემოხლის მანიშნებელია. მსაჯი ამბობს, თავი მომხვდაო, ფეხბურთელიც არ უარყოფს, თავი ჩემი იყოო... მაშ, გასარჩევიც არა ყოფილა, განაჩენი და მისი ჯანი, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტი საათზე მეტხანს ბჭობდა „ბათუმ" — „მერანის" მატჩში მომხდარ ინციდენტზე.

...მასპინძლებმა თამაშის მიწურულს გოლი გაიტანეს, მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. თანამსაჯ მამუკა ელიკაშვილს დროშა აღემართა და თამაშგარე დაეფიქსირებინა.

...„ბათუმი" თანამსაჯს მიეჭრა, ალყაში მოიქციეს ელიკაშვილი ფეხბურთელებმა, ვილაცამ დამცავი ღობე გადმოლახა. ატყდა ხელების კვრა და შეხლა-შემოხლა.

„ვილაცამ თავი ჩამარტყა, ავიხედე და ჩემს წინ ივანე მახარაძე იდგა, რომელსაც თვალზე ხელი აეფარებინა. მე შემიძლია, მხოლოდ ის ვთქვა გადაჭრით, რაც იმ წუთს ვიგრძენი, თავი მომხვდა და სისხლი მომდიოდა. მთავარ მსაჯთან მივედი და მახარაძე გავაძევებინე, რომელიც მიმტკიცებდა, რომ განზრახ არაფერი ჩაუდენია. იქვე მომიბოდიშა და თამაშის შემდეგაც იგივე გააკეთა" — მამუკა ელიკაშვილის მონათხრობმა საქმეს ნათელი ვერ მოჰფინა და ივანე მახარაძეს უხმეს.

„მართლა ჩემი თავი იყო, მაგრამ მე არ მქონია განზრახვა, მსაჯისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიმეყენებინა. ვილაცამ უკნიდან ხელი მკრა და უნებლიედ თანამსაჯს დავეჯახე. თვალი ახლაც ჩალურჯებული მაქვს" — ივანე მახარაძის სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებდა, რომ გაძევების შემდეგაც და გასახდელშიც თანამსაჯს ბოდიში მოუხადა.

ორი თამაშით დისკვალიფიკაცია და 100 ლარი ჯარიმა გამოუწერეს მახარაძეს. საბოლოოდ ამ ვერსიამ გაიმარჯვა, თუმც მახარაძის მიმართ ზოგი 12-თვიან დისკვალიფიკაციას, ზოგი დასკვნითი ეტაპის პირველი წრის ბოლომდე თამაშის აკრძალვას მოითხოვდა.

თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე დაიხატა, მაშინ კომიტეტის წევრებს ვერავინ უსაყვედურებს. ის კი არა, გრიგოლ ცაავა დასჯის წინააღმდეგიც იყო, ისიც არეულობის მსხვერპლიაო, ამართლებდა მახარაძეს. ფეხბურთელის დანაშაული ის გახლავთ, რომ საერთოდ ელიკაშვილის სიახლოვეს აღმოჩნდა. ივანეს მინდორზე ბურთის გორება ევალება და არა არბიტრის გადაწყვეტილების გასაჩივრება. ჩემთვის რომ ეკითხათ, სამი თამაშით დავასვენებდი და სულ ცოტა, 300 ლარითაც შევუთხელებდი ჯიბეს, თუმც ეს დებულებას ეწინააღმდეგება.

4 თამაში და 200 ლარი ჯარიმა „ბათუმის" კაპიტან ამირან მუჯირს. კაპიტანმა მთავარ მსაჯ ლევან ფანიაშვილს გადაწყვეტილება დაუწუნა, ხელი ჰკრა, სიტყვიერად შეურაცხჰყო და მოედნიდან გაძევებული თამაშის შემდეგაც თურმე მსაჯთა საცემლად იწევდა.

დაუსჯელი არც ბათუმური სარბიელი დარჩენილა. „ბათუმი" ერთ საშინაო მატჩს შინ ვერ ჩაატარებს და 500 ლარსაც გადაიხდის. თავად კლუბს კი გაფრთხილება აკმარეს.

მოხვდა თუ არა თანამსაჯ ჯემალ ბუიშვილს ბელტი თავში? საერთოდ ბელტი იყო, ქვა, კენჭი თუ სხვა რამ? ეს ვერ გაარკვიეს გუშინდელ სხდომაზე სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა. თავად „დილა" — „კოლხეთის" მატჩის ინსპექტორი და მსაჯები გარჩევას არ ესწრებოდნენ და საკითხიც გადაიდო. სადისციპლინო კომიტეტი ამას ხვალ, 12 საათზე, დაუბრუნდება.

4 თამაშით დისკვალიფიკაცია და 200 ლარი ჯარიმა „დილას" ფორვარდ ამირან ხმალაძეს. ამდენივე „ბათუმის" მცველ ზვიად პაპიძესაც. „დილა" — „ბათუმის" დაპირისპირებისას ხმალაძე და პაპიძე ჯერ გინებაში გაჯიბრებიან, მერე ერთმანეთისთვის ყბების სიმაგრეც შეუმოწმებიათ, რისთვისაც წითელი ბარათითაც დასჯილან.

ხაშურში ვილაცას მსაჯისთვის ფეხსაცმელი უსვრია. გაუხდია ფეხზე და უსვრია. მართალია, აუცილებია, მაგრამ სტადიონი გაფრთხილებას და 200 ლარიან ჯარიმას მაინც ვერ ასცდა.

დინამოელ მიქაძეს 1 თამაშით დასვენება და 50-ლარიანი სასჯელი აკმარეს. მის რუსთაველ სეხნიას და მოგვარეს ამდენივე გამოუვიდა. ხაშურელ მიხეილ ლომიძეს ორი თამაშით დისკვალიფიკაცია და 100 ლარი ჯარიმა ერგო. ნიკურაძე ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარსაც გაიღებს.

წაგება ჩაეთვალა ზუგდიდის „დინამოს". გორისკენ ამგზავრებულ ზუგდიდელებს გზად ავტობუსმა უმტყუნა. 0:3 დამარცხება და გაფრთხილება. „დინამო" კი ჩემპიონატს გააგრძელებს.

გუშინდელ სხდომაზე მსაჯების მიმართ გულთბილი სიტყვები არ დაიშურეს, რაც პირველად მოხდა. ეს პატივი „ბათუმ" — „მერანის" განმსჯელებს ლევან ფანიაშვილსა და მამუკა ელიკაშვილს ერგოთ.

**მამუკა კვანტალიანი**



სადისციპლინო კომიტეტი ბელტის სროლაზე ხვალ იმსჯელებს

---

## საქართველოს 12 ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი

# კალენდარი

### I-VI ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 4 აპრილი, ოთხშაბათი | 28 აპრილი, შაბათი |
| კოლხეთი - ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია - კოლხეთი |
| ლოკომოტივი - მერანი | მერანი - ლოკომოტივი |
| დინამო - ტორპედო | ტორპედო - დინამო |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 8 აპრილი, კვირა | 5 მაისი, შაბათი |
| ვიტ ჯორჯია - ტორპედო | ტორპედო - ვიტ ჯორჯია |
| მერანი - დინამო | დინამო - მერანი |
| კოლხეთი - ლოკომოტივი | ლოკომოტივი - კოლხეთი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 12 აპრილი, ხუთშაბათი | 12 მაისი, შაბათი |
| ლოკომოტივი - ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია - ლოკომოტივი |
| დინამო - კოლხეთი | კოლხეთი - დინამო |
| ტორპედო - მერანი | მერანი - ტორპედო |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 17 აპრილი, სამშაბათი | 19 მაისი, შაბათი |
| ვიტ ჯორჯია - მერანი | მერანი - ვიტ ჯორჯია |
| კოხლეთი - ტორპედო | ტორპედო - კოლხეთი |
| ლოკომოტივი - დინამო | დინამო - ლოკომოტივი |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 21 აპრილი, შაბათი | 23 მაისი, ოთხშაბათი |
| დინამო - ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია - დინამო |
| ტორპედო - ლოკომოტივი | ლოკომოტივი - ტორპედო |
| მერანი - კოლხეთი | კოლხეთი - მერანი |

### VII-XII ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 3 აპრილი, სამშაბათი | 27 აპრილი, პარასკევი |
| თსუ - იბერია | იბერია - თსუ |
| დილა - ბათუმი | ბათუმი - დილა |
| გორდა - სიონი | სიონი - გორდა |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 7 აპრილი, შაბათი | 5 მაისი, შაბათი |
| იბერია - სიონი | სიონი - იბერია |
| ბათუმი - გორდა | გორდა - ბათუმი |
| თსუ - დილა | დილა - თსუ |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 11 აპრილი, ოთხშაბათი | 11 მაისი, პარასკევი |
| დილა - იბერია | იბერია - დილა |
| გორდა - თსუ | თსუ - გორდა |
| სიონი - ბათუმი | ბათუმი - სიონი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 17 აპრილი, სამშაბათი | 18 მაისი, პარასკევი |
| იბერია - ბათუმი | გორდა - დილა |
| დილა - გორდა | ბათუმი - იბერია |
| 18 აპრილი, ოთხაშაბათი | სიონი - თსუ |
| თსუ - სიონი | |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 22 აპრილი, კვირა | 22 მაისი, სამშაბათი |
| გორდა - იბერია | იბერია - გორდა |
| სიონი - დილა | დილა - სიონი |
| ბათუმი - თსუ | თსუ - ბათუმი |

საქართველოს თასის ნახევარფინალები 1 და 15, ფინალი კი 26 მაისს გაიმართება.

---

## საქართველოს 12 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — მეორე ეტაპი

# კალენდარი

### I-VI ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 3 აპრილი, სამშაბათი | 1 მაისი, სამშაბათი |
| შუქურა — სამგურალი | სამგურალი — შუქურა |
| გურია — მეტალურგი | მეტალურგი — გურია |
| 4 აპრილი, ოთხშაბათი | ცხინვალი — მილანი |
| მილანი — ცხინვალი | |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 11 აპრილი, ოთხშაბათი | 5 მაისი, შაბათი |
| სამგურალი — ცხინვალი | მილანი — მეტალურგი |
| მეტალურგი — მილანი | გურია — შუქურა |
| შუქურა — გურია | 6 მაისი, კვირა |
| | ცხინვალი — სამგურალი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 18 აპრილი, ოთხშაბათი | 11 მაისი, პარასკევი |
| გურია — სამგურალი | სამგურალი — გურია |
| მილანი — შუქურა | შუქურა — მილანი |
| ცხინვალი — მეტალურგი | მეტალურგი — ცხინვალი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 22 აპრილი, კვირა | 18 მაისი, პარასკევი |
| სამგურალი — მეტალურგი | მეტალურგი — სამგურალი |
| შუქურა — ცხინვალი | ცხინვალი — შუქურა |
| გურია — მილანი | მილანი — გურია |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 27 აპრილი, პარასკევი | 22 მაისი, სამშაბათი |
| მილანი — სამგურალი | სამგურალი — მილანი |
| ცხინვალი — გურია | გურია — ცხინვალი |
| მეტალურგი — შუქურა | შუქურა — მეტალურგი |

### VII-XII ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 4 აპრილი, ოთხშაბათი | 2 მაისი, ოთხშაბათი |
| თორი — ხობი | ხობი — თორი |
| ოკეანე — ივერია | ივერია — ოკეანე |
| ზუგდიდი — თბილისი | თბილისი — ზუგდიდი |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 12 აპრილი, ხუთშაბათი | 6 მაისი, კვირა |
| ხობი — თბილისი | თბილისი — ხობი |
| ივერია — ზუგდიდი | ზუგდიდი — ივერია |
| თორი — ოკეანე | ოკეანე — თორი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 17 აპრილი, სამშაბათი | 12 მაისი, შაბათი |
| ოკეანე — ხობი | ხობი — ოკეანე |
| ზუგდიდი — თორი | თორი — ზუგდიდი |
| თბილისი — ივერია | ივერია — თბილისი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 21 აპრილი, შაბათი | 19 მაისი, შაბათი |
| ხობი — ივერია | ივერია — ხობი |
| თორი — თბილისი | თბილისი — თორი |
| ოკეანე — ზუგდიდი | ზუგდიდი — ოკეანე |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 28 აპრილი, შაბათი | 23 მაისი, ოთხშაბათი |
| ზუგდიდი — ხობი | ხობი — ზუგდიდი |
| თბილისი — ოკეანე | ოკეანე — თბილისი |
| ივერია — თორი | თორი — ივერია |

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**სლოვენია 1:2 იუგოსლავია**

0:1, 0:2 ბრნოვიჩი (21, 82), 1:2 კორენი (87)

**შვეიცარია 6:0 ლუქსემბურგი**

1:0 კაბანასი (14), 2:0 გრეკო (18), 3:0 ცოგაქსი (24), 4:0 ზანი (35), 5:0, 6:0 კაბანასი (45, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 12:4 | 8 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:3 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:16 | 0 |

### II ჯგუფი

**პორტუგალია 3:0 ჰოლანდია**

1:0 მონტეირო (50), 2:0, 3:0 პაულუ კოშტა (61, 90)

**კვიპროსი 3:1 ესტონეთი**

0:1 ტანუანპა (5), 1:1 კავაზისი (10), 2:1 ფოსკარიდუსი (16), 3:1 კიტოსი (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 2 |

### III ჯგუფი

**ბულგარეთი 2:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 გენჩევი (4), 2:0 იანევი (27)

**ჩეხეთი 3:0 დანია**

1:0 ვარუშეკი (5), 2:0, 3:0 ბაროში (39, 59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ჩეხეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:2 | 12 |
| დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| მალტა | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |

### IV ჯგუფი

**სლოვაკეთი 5:0 აზერბაიჯანი**

1:0 სედლაკი (3), 2:0 პანეკი (46), 3:0 ვიტეკი (56), 4:0 კრეიცი (64), 5:0 ბედნარი (87)

**მაკედონია 1:4 თურქეთი**

0:1 ტაიფუნი (27), 0:2 პუსეინი (38), 0:3, 0:4 გიოქთანი (44, 54), 1:4 პანდევი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:1 | 13 |
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| შვედეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:1 | 8 |
| მოლდოვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| აზერბაიჯანი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:13 | 4 |
| მაკედონია | 5 | 0 | 0 | 5 | 2:13 | 0 |

### V ჯგუფი

**ბელარუსი 1:0 ნორვეგია**

1:0 კუტუზოვი (75)

**უელსი 0:3 უკრაინა**

0:1 მონარიოვი (11), 0:2 ოლექსიენკო (15), 0:3 მონარიოვი (20)

**პოლონეთი 1:1 სომხეთი**

1:0 სმოლარეკი (43), 1:1 პაკობიანი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:2 | 12 |
| უკრაინა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ნორვეგია | 5 | 3 | 0 | 2 | 11:5 | 9 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:9 | 8 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:13 | 4 |
| უელსი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:12 | 0 |

### VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ლატვია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

### VII ჯგუფი

**ავსტრია 0:2 ისრაელი**

0:1 ზანდბერგი (15), 0:2 სარფატი (49პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ისრაელი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბოსნია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

### VIII ჯგუფი

**იტალია 1:0 ლიტვა**

1:0 დონატი (24)

იტალია: პელიცოლი, ბონერა (კასტელინი 61), ფერარი, ლუკინი, მარკიონი, მარესკა, დონატი, ბელინი, პირლო, ბონაცოლი (კოლომბო 70), ჯილარდინო (კორენტი 79)

მწვრთნელი: კლაუდიო ჯენტილე

ლიტვა: სტონისი, ვიკუტისი, სტანკევიჩუსი (ზუმლიკასი 46), ალუნდერისი, გრიგასი, სობოლისი, ჩესნაუსკისი, რინგისი, ტრაკისი (საულენასი 52), კუჩისი (ჩეპოვასი 78), ბენიუსისი

მწვრთნელი: ეუგენიუს რიაბოვასი

გაფრთხილებები: გრიგასი, ჩესნაუსკისი, ბონაცოლი

7 804 მაყურებელი

**საქართველო 0:3 რუმინეთი**

0:1 ჩერნატი (12), 0:2 ნიაგა (40), 0:3 დრაგანი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

### IX ჯგუფი

**საბერძნეთი 2:0 გერმანია**

1:0 კირიაზისი (28პ), 2:0 ამანატიდისი (89)

**ალბანეთი 0:1 ინგლისი**

0:1 გრინინგი (69პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| გერმანია | 4 | 2 | 1 | 1 | 11:4 | 7 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:13 | 0 |



იტალია — ლიტვა. მასპინძელი პირლო სახითაფოდ, მაგრამ უშედეგოდ უტევს

## ბელგია

**თასის ნახევარფინალი**

I მატჩი

**ბეერსხოტი 1:2 ვესტერლო**

1:0 დეგრიზი (43პ), 1:1 შასენსი (51), 1:2 დელენი (61)

## შოტლანდია

**გადადებული მატჩი**

**აბერდინი 3:3 სენტ ჯონსტონი**

0:1 მაკბრაიდი (25), 1:1 დარენ იანგი (30), 2:1 უინტერსი (35), 2:2 მაკბრაიდი (70), 3:2 დერეკ იანგი (71), 3:3 ლოუნდესი (87)


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109


# ფქვილი იქა, ფქვილი აქა?



გლენ ჰოდლი

**გუშინ** დილით ვარჯიშზე მისულ „საუთჰემპტონის" ფეხბურთელებს გლენ ჰოდლი ადგილზე არ დახვდათ. როგორც მოთამაშეებს აუხსნეს, მთავარ მწვრთნელს ერთდღიანი „შვებულება" უთხოვია, თუმცა ჰოდლის არყოფნის ნამდვილი მიზეზი საიდუმლოს ნაღდად არავისთვის წარმოადგენდა.

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" ახალი მეპატრონის, კონსორციუმ „ენიკის" თავკაცებსა და ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს შორის მოლაპარაკება გუშინწინ საღამოს დაიწყო. ჰოდლი ლონდონში ჩავიდა და მართალია „საუთჰემპტონისგან" ამის უფლება არ ჰქონდა, თავის ყოფილ კლუბში დაბრუნებაზე საუბარს შეუდგა. ბევრი ელოდა, საუთჰემპტონელები ერთ ამბავს ატეხავენო (თუ გახსოვთ, ასეთი საქციელისთვის მიუნხენის „ბაიერნმა" სამუელ კუფური დიდი თანხით დააჯარიმა), მაგრამ ლონდონის შეხვედრა ორი საათის დაწყებული იყო, როცა „წმინდანთა" („საუთჰემპტონის" მეტსახელია) თავმჯდომარე ლოუმ დედაქალაქში ფორმალური ნებართვა გააგზავნა. ცხადია, მისტერ რუპერტ ლოუ უკმაყოფილოა „ენიკის" არაეთიკური საქციელით, თუმცა იგი ისეთ პატივს სცემს ჰოდლს, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენა.

„ენიკი" ჩქარობს და სურს, რომ ჰოდლმა „ტოტენჰემი" ამ კვირაშივე ჩაიბაროს და უახლოეს ტურში „არსენალთან" გუნდს სწორედ მან უხელმძღვანელოს. საქმე აქეთკენაც მიდის, თუმცა საუთჰემპტონში ხავსს მაინც ეჭიდებიან. მცველი მარკ დრაპერი ამბობს: „ლონდონელები გლენს გადაიბირებენ, რაც ყველას გვეწყინება". თანაგუნდელის აზრს იზიარებს გარი დოჰერტიც: „თითქმის შევეგუეთ, რომ ჰოდლი წავა. არადა, ჩვენი გულშემატკივარი გიჟდება მასზე. თუ გარიგება ჩაიშალა, ძალიან გაგვიხარდება". აღშფოთებულია „წმინდანთა" ფანობის ერთ-ერთი ლიდერი პერი მაკფილანი: „ეჭვი არ მეპარება, რომ „ენიკი" ჰოდლს შეაბამს. ისე, წესით, გლენი ჩვენი კლუბის თავმჯდომარეს უნდა დალაპარაკებოდა და მერე წასულიყო ლონდონში".

მოკლედ, ჩრდილო ლონდონშიც და სამხრეთულ საუთჰემპტონშიც ყველა დარწმუნებულია, რომ „ტოტენჰემის" ახალი მწვრთნელი იქნება გლენ ჰოდლი, რომელმაც ეს კლუბი 14 წლის წინ დატოვა (21 წლიანი კარიერისას 566 მატჩი ითამაშა და 132 გოლი შეაგდო) და „მონაკოში" წავიდა. მერე იყო „ჩელსი", ინგლისის ნაკრები და „საუთჰემპტონი"...

ვინ შეცვლის ჰოდლს? თუ ცდა არ დააკლეს, ერთი ყოფილი ფეხბურთელი შესაძლოა „საუთჰემპტონსაც" დაუბრუნდეს — ჯერჯერობით უმუშევარი კევინ კიგანი, მიმომხილველთა აზრით, უარზე სულაც არ იქნება.

**გიგა ძოგახიძე**



მარკო კრისტალი

# პატარა ასიანელი

**გუშინ**, როცა „ლიმასოლის" სტადიონზე მსაჯის სასტვენმა კვიპროსი — ესტონეთის მატჩის დაწყება გვამცნო, ერთი ძველისძველი ევროპული რეკორდი დაემხო.

ესტონელმა ნახევარმცველმა მარკო კრისტალმა გუშინ მეასე სანაკრებო მატჩი გამართა და გოლიც გაიტანა. ამაში სარეკორდო არაფერია, რადგან ასიანთა კლუბი უკვე ათობით წევრს ითვლის, მაგრამ რეკორდი მაინც იყო — მარკო კრისტალი ყველაზე ახალგაზრდა ასიანელი გახდა.

ძველი რეკორდი დიდ ფრანც ბეკენბაუერს ეკუთვნოდა, რომელმაც მეასე სანაკრებო მატჩი 30 წლისა და 255 დღის ასაკში გამართა. „კაიზერ ფრანცს" 51 დღით ჩამორჩა პაოლო მალდინი, ხოლო მარკო კრისტალი გუშინ 27 წლის და 299 დღისა გახდა. სხვაობა მართლაც დიდია — თითქმის სამი წელი.

მსოფლიოს რეკორდი კი ამერიკელ კობი ჯონსს ეკუთვნის, რომელიც კრისტალზე 172 დღით უმცროსი იყო, როცა მეასე მატჩი ითამაშა.

მსოფლიოში მესამეადგილოსანი ასევე ამერიკელი მარსელო ბალბოაა — 27 წელი და 321 დღე.

აღსანიშნავია, რომ მარკო კრისტალის სანაკრებო დებიუტი 1992 წლის ივნისში შედგა, რაც მიგვანიშნებს, რომ ესტონეთის ნაკრებს ამ ცხრა წელიწადში ძალიან ბევრი უთამაშია.

# აი, კაცი — კოტი

**ტონი კოტმა** ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი. ქვეყნის მეორედივიზიონის კლუბ „მილუოლში" ახლახან ჩარიცხულმა ფეხბურთელმა რეკორდის დამყარება მოახერხა. სამშაბათს „მილუოლისა" და „უიკომბის" შეხვედრა კოტისთვის ახალ კლუბში სადებიუტო მატჩი იყო. ამრიგად, გამოვიდა, რომ მან ერთ საზონში უკვე ოთხ კლუბში მოასწრო თამაში.

ვეტერანმა თავდამსხმელმა სეზონი პრემიერლიგაში, კერძოდ, „ლესტერში" დაიწყო, საიდანაც მალე პირველდივიზიონურ „ნორვიჩში" გადავიდა. დიდი დრო არ გასულა და უფრო საინტერესო ამბავი მოხდა — კოტი მესამედივიზიონური „ბარნეტის" მოთამაშე მწვრთნელად დაინიშნა, სულ ცოტა ხნის წინ კი აგერ, „მილუოლის" მაისურით გამოჩნდა. ისე, სეზონის დასრულებამდე კიდევ დროა — ეგებ მეხუთეც მოესწროს.

# შუკერი დეზერტირების ბაზარზე

## პროკურატურა ძველ მეგოლეს ხუთწლიანი კონტრაქტით ემუქრება



დავორ შუკერს სამშობლო უხმობს

**ხორვატ** მეგოლეს, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირს დავორ შუკერს უკვე საკმაო ხანია, რაც ბედი აღარ წყალობს. თავდამსხმელმა ბურთის გორება ზაგრებში დაიწყო, შემდეგ ესპანურ „სევილიაში" გადაბარგდა, ბოლო წლებში მადრიდის „რეალსა" და ლონდონის „არსენალში" სცადა ბედი, მაგრამ უშედეგოდ.

ახლა იგი „ვესტ ჰემის" რიგებში ირჯება, თუმცა აქაც ხშირად სათადარიგოთა სკამს ხეხავს. იღბალმა ფეხბურთელს სპორტულ კარიერაში წარუმატებლობა არ აკმარა და, შესაძლოა, განსასჯელის სკამზეც მიუჩინოს ადგილი. 33 წლის ფორვარდის საქმეს სამხედრო პროკურატურა იძიებს.

თურმე ნუ იტყვით და დავორ შუკერი დეზერტირი ყოფილა. იგი შეიძლება მკაცრად დაისაჯოს იმის გამო, რომ არ გამოეხმაურა იმ სამხედრო უწყებებს, რომლებიც ფეხბურთელის საფოსტო ყუთში მისი საზღვარგარეთ მოღვაწეობის დროს ბლომად დაგროვდა. თუ დავორ შუკერს დაუმტკიცდა, რომ სამშობლოს წინაშე ვალის მოხდას შეგნებულად აარიდა თავი, ხუთი წლით ციხეში აღმოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# სამხრეთ ამერიკა XI ტური

### პერუ 3:1 ჩილე

**1:0 მაესტრი (54), 1:1 ნავია (62), 2:1 მენდოსა (73), 3:1 პისარო (81)**

**პერუ: მირანდა, სოლანო, რებოსიო, პაჯუელა, ოლორტეგი (იდგალდო 42), ხაიო, პალასიოსი, დელ სოლარი (მაესტრი 46), მუჩოტრიგო (კიურლიცა 76), მენდოსა, კ. პისარო**

**ჩილე: ნ. ტაპია, ვარგასი, როხასი, რამირესი, პონსე, პარაგესი (ნორომბუენა 25; რეიესი 76), მალდონადო, ოსორიო, ტელო (ე. ტაპია 46), სამორანო, ნავია**

**45 000 მაყურებელი**

**პერუმ** 3:1 მოუგო ჩილეს. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ პერუმ მხოლოდ 3:1 მოიგო და არა უფრო დიდი ანგარიშით. ამის თქმის საფუძველს ის ფაქტი გვაძლევს, რომ მასპინძლებს ოცზე მეტი ისეთი მომენტი ჰქონდათ, აშკარად საგოლე რომ ეთქმის. აქედან გამომდინარე, ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ პერუელებმა მეტოქეს გამარჯვება მხოლოდ ბოლო ოც წუთში გამოგლიჯეს.

ფლავიო მაესტრის, ანდრეს მენდოსასა და კლაუდიო პისაროს გოლებმა, ფაქტობრივად, დაასამარა ჩილელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის ოცნება. გავიხსენოთ, რომ კორეა-იაპონიაში წასასვლელად სამხრეთამერიკელთა ათგუნდიან ჯგუფში მინიმუმ მეხუთე ადგილზე გასვლაა საჭირო და მერე პლეი ოფში ოკეანეთელი პრეტენდენტის დამარცხება. მეთერთმეტე ტურის წინ ჩილე მეხუთე ადგილზე მყოფ ურუგვაის ხუთი ქულით ჩამორჩებოდა და რაკი წააგო, სხვაობის დაძლევა ერთობ გაუჭირდა. თავის მხრივ, არც პერუს აქვს საზარბიელოდ საქმე, წინა ათი თამაშიდან ექვსი წააგო და როცა ყველა გზა მოეჭრა, მაშინღა გამოფხიზლდა.



REUTERS ლუსიმადან

პერუ — ჩილე. ფლავიო მაესტრომ პირველი გოლი გაიტანა

ჩილელთა ჩაგვრა მათი ლიმაში ჩასვლისთანავე დაიწყო — აეროპორტიდან სასტუმროსკენ მიმავალ ავტობუსს ქვები დააყარეს. მოედანზე უარესი ამბები დატრიალდა. ბრემენელმა თავდამსხმელმა პისარომ პირველ ტაიმში სამი ისეთი მომენტი გააფუჭა, კაცს ჩილელთა კარი მოჯადოებული ეგონებოდა. მეორე ტაიმში მანვე კიდევ სამი საოცარი შანსი ვერ გამოიყენა და მხოლოდ მეშვიდე ცდაზე დალაშქრა სტუმართა კარი. იმ დროისთვის მასპინძლებს ორი უკვე გაეტანათ და ერთიც საკუთარ კარში მიეღოთ. ის ერთი ივან სამორანომ გაატანინა რეინალდო ნავიას, მეტი კი ველარ შეძლო.

### კოლუმბია 2:0 ბოლივია

**1:0, 2:0 პაბლო ანხელი (63, 73)**

**კოლუმბია: ო. კორდობა, გონსალესი, ჩინასი, იეპესი, ბედოია, სერნა, გრისალესი, არისტისაბალი (ვიველროსი 46), ასპრილია, ბონილია (ფერეირა 46), პაბლო ანხელი (კანტანა 84)**

**ბოლივია: ფერნანდესი, რიბეირო, პენა, სანდი, არანა, კოლკე, ხუსტინიანო, როხასი, ვაკა, კოიმბრა (მასა 69), კარდენასი (სუარესი 57)**

**45 000 მაყურებელი**

**კოლუმბიამ** გამარჯვებით აღნიშნა საერთაშორისო ფეხბურთში ფაუსტინო ასპრილიას დაბრუნება. ამ კოლორიტულმა ფეხბურთელმა შარშან თქვა, ჩემი ფეხი აღარ იქნება ნაკრებშიო, მაგრამ წლისთავზე გადაიფიქრა და კარგიც გააკეთა.

ხუან პაბლო ანხელმა პირველი გოლი სწორედ ასპრილიას პასით გაიტანა, ხოლო მეორე — პენალტით, რომელიც ბოლივიელთა საჯარიმოში ლუის რიბეროსგან ხერარდო ბედოიას წაქცევას მოჰყვა. ისე, ანხელს დუბლის ჰეთ თრიქად ქცევაც შეეძლო, მაგრამ ერთ ეპიზოდში სტუმართა მცველი ხუან მანუელ პენა ცარიელ კარს ამბრაზურასავით გადაეფარა და იხსნა.

ასპრილიას ყოჩაღობა კი ოდენ საგოლე პასით არ დასრულებულა. მოხეტიალე ნახევარმცველად გამწესებულმა ასპრილიამ ოცდახუთიოდე მეტრიდან გაისროლა და ძელს გაარტყა.

მორიგმა მარცხმა, რომელიც ბოლივიასთვის სტუმრად ზედიზედ მეექვსე გამოდგა, ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მხოლოდ თეორიული და ისიც საეჭვო შანსი დაუტოვა. კოლუმბია კი კმაყოფილი უნდა იყოს — თერთმეტ მატჩში თვრამეტი ქულა ურიგო შედეგი არაა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით საქმეს ასეთი პირი უჩანს.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS ლუსიმადან

კოლუმბია — ბოლივია. მასპინძლებმა ფაუსტინო ასპრილიამ (№11) მაინც დაარტყა

# მადრიდელებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს და კატალონიელებს კიდევ ერთხელ გაეჯიბრნენ

**კატალონიური** „ბარსელონას" განცხადებამ, რომ გუნდში მომავალი სეზონიდან დიდი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი, მეორე ესპანური გრანდის, მადრიდის „რეალის" მმართველობა გვარიანად შეაშფოთა. მადრიდელებს კოშმარივით დასდევთ კატალონიელთა მუქარა. „ბარსა" ხომ ლუიშ ფიგუს გარეალელების გამო დედაქალაქელებს შურისძიებას დაჰპირდა. ზაფხულში სატრანსფერო სეზონი იხსნება და ორი მოსისხლე კვლავ აპირებს ურთიერთმტრობის განახლებას. ალბათ, ამიტომაც, მადრიდელთა თავკაცობა — ფლორენტინო პერესი, ხორხე ვალდანო და ვისენტე დელ ბოსკე გუნდში მოთამაშე მაგარი ბიჭების ადგილზე დასაკავებლად არაფერს იშურებენ. ფერნანდო მორიენტესმა, ივან ელგერამ და იკერ კასილიასმა უკვე მიიღეს წინადადებები, რომელიც ფეხბურთელებს „რეალის" ერთგულების სანაცვლოდ ზღაპრულ გასამრჯელოს სთავაზობს. მორიენტესი ამჟამად წლის განმავლობაში 1,5 მილიონს შოულობს, ივან ელგერას კი გასამრჯელო მხოლოდ 800 ათასი დოლარია. ხორხე ვალდანო ამ ბიჭებს მომავალი სეზონისთვის წელიწადში 4,5 მილიონს ჰპირდება. ამდენ თანხას „რეალში" მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს — ლუიშ ფიგუს, სტივ მაკმანამანს, რაულსა და რობერტო კარლოსს უხდიან.

მადრიდელები და ბარსელონელები ერთურთს მოედნის გარეთაც ებრძვიან და თუ ასე გაგრძელდა, კლუბების სალაროები გვარიანად გაღარიბდება. მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ ორი მხარის მტრობაში და ერთმანეთის ჯიბრზე ფულის ფანტვაში (ზოგჯერ ზღვარგადასულ და უმიზნო) გასაკვირი არაფერია. როცა „რეალი" თავის ბიჭებს ბარსელონური საშიშროებიდან იხსნის (ზემოთ ნახსენები სამი ფეხბურთელი სწორედ კატალონიელების სამიზნე იყო), მერე ევროპის კლუბებში მობურთალი ვარსკვლავებითაც აპირებს გაძლიერებას. „ლაციოს" არგენტინელ ნახევარმცველ ხუან სებასტიან ვერონს სერიოზულად დაუინტერესებია სამეფო კლუბი.

პერესი, ვალდანო და კომპანია რომაელებს ვერონის სანაცვლოდ 45 მილიონს სთავაზობენ. შესაძლებელია ფეხბურთელთა გაცვლაც — „რეალი" არგენტინელის სანაცვლოდ მორიენტესს ან სალგადოს, ზედაც სოლიდურ თანხას სთავაზობს „ლაციოს".

„რეალს", რაღა თქმა უნდა, არც „ბარსა" ჩამორჩა და რონალდოს კატალონიაში შესაძლო დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ. ჭორის სათავე ბრაზილიელის პრესმდივნის, როდრიგო პაივას განცხადება გახლავთ. მან ერთ-ერთ რადიოინტერვიუში დაუფარავად თქვა, რონალდოს მალე „კამპ ნოუზე" ვიხილავთო. თუმცა პაივამ პირველი ჩვენება უმალ შეცვალა, როცა „ინტერის" ხელმძღვანელობამ ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. „აპრილში რონალდო უკვე იტალიაში იქნება. მას მილანელებთან ერთად სკუდეტოს მოგება სწადია, მაგრამ მოგვიანებით, სამშობლოში დაბრუნებამდე, რამოდენიმე სეზონს დიდი სიამოვნებით ბარსელონაში გაატარებს."

ვერაფერს ვიტყვით. მადრიდულ-კატალონიური სატრანსფერო ომი კარს მოგვდგომია. თუ ალრიცხვას წლევანდელი სეზონიდან დავიწყებთ, მადრიდელები 1:0 იგებენ. პირველ რაუნდში ლუიშ ფიგუს „ღალატმა" ბარსელონელები ნოკაუტში ჩააგდო. ისე, წარსულსაც თუ გავიხსენებთ, მადრიდელებს „ბარსასთვის" თავის დროზე ბერნდ შუსტერი და მიქაელ ლაუდრუპიც წაუგვრიათ. კატალონიელები ამით თავს ნამდვილად ვერ მოიწონებენ. ვგონებთ, ასეც გაგრძელდება. ვალდანო ფეხბურთელებს როგორც კი კატალონიელებისაკენ ოდნავ გადახრას მაინც შეამჩნევს, დიდი თანხებით თავისთან აბამს. მადრიდულ კლუბს ევროპაში მობურთალი ოსტატებისთვისაც დაუდგამთ თვალი და საერთოდ ყველა ასპექტში, საფეხბურთო მოედანზეც და სატრანსფერო ბაზარზეც, უფრო თავდაჯერებული და ძლიერი ჩანს, ვიდრე კატალონიელთა იმედი, ლურჯ-წითელი „ბარსელონა".



მომავალი სეზონიდან რივალდო („ბარსელონა"), შესაძლოა, პაოლო მალდინის თანაგუნდელი გახდეს

# ბრაზილიელი რომ მიდიოდა, ბრაზილიელი მოდიოდა

**გადაწყვეტილება** ახლა არ მიმიღია. ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ოთხი სეზონით, რომელიც ამ კლუბში გავატარე. მან ძალიან ბევრი რამ მომცა, მაგრამ კაცის ცხოვრებაში არჩევანის ჟამი დგება ხოლმე".

იცით, ვინ არის ის 31 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ეს სიტყვები თქვა? ან იცით, რომელ გუნდზეა ლაპარაკი? იტალიურ „მილანზე", 31 წლის ფეხბურთელი კი ბრაზილიელი ლეონარდო გახლავთ.

ლეონარდოს ადრე უთქვამს, რომ კარიერის დასრულებას მშობლიურ რიო დე ჟანეიროში, „ფლამენგოში" აპირებს, თუმცა ახლა ზუსტად ვერაფერს გვეუბნება.

„ნამდვილად ვერ გეტყვით, სად ვიქნები და რას გავაკეთებ ივნისში, ოღონდ ფეხბურთის თამაშს ჯერ თავს არ დავანებებ".

ამრიგად, ლეონარდო „სან სიროდან" მიდის, თუმცა მანამდე ყველა ღონეს იხმარს „მილანმა" სერია A-ში მეოთხე ადგილი რომ მოიპოვოს და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება გაინაღდოს.

„ძალიან მინდა სეზონი კარგად დავასრულო".

შეგახსენებთ, რომ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და 1998 წლის ვიცეჩემპიონი „მილანამდე" „სან პაულოში", „ვალენსიაში", იაპონურ „კაშიმა ანთლერსში" და „პარი სენ ჟერმენში" თამაშობდა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „მილანი" ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის გარეშე დარჩენას არ აპირებს.

— „ბარსელონას" თავდამსხმელმა, 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, რივალდომ განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან „მილანში" გადასვლას სულაც არ გამორიცხავს. მან იტალიურ პრესას განუცხადა, რომ ეს ტრანსფერი მასაც აძლევს ხელს და „ბარსელონასაც".

„ისეთი ასაკისა ვარ, რომ ჩემი გაყიდვა სრულიად არ გამიკვირდება" — თქვა მან — „ყოველი მორიგი წელიწადი ფასს დამიგდებს, ამიტომაც „ბარსელონას" ურჩობს ახლავე გამყიდოს და სანაცვლოდ აღებული თანხით ახალგაზრდები შეიძინოს".

მოგეხსენებათ, 90-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, „მილანს", ბოლოხანს გაუჭირდა და მისმა პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ, მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი თანამდებობიდან დაითხოვა. ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე მილანელებს ჩეზარე მალდინი ხელმძღვანელობს, თუმცა, ვინ იქნება მათი თავკაცი ზაფხულიდან, ჯერ უცნობია. ამასთან, ბერლუსკონიმ, რომელიც ერთხანს კლუბის საქმეებისგან განდგომილი გახლდათ, გადაწყვიტა, კვლავ ჩაერიოს გუნდის „სამზარეულოში" და უპირველესად სწორი სატრანსფერო პოლიტიკა გამალოს. როგორც ჩანს, მისი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი სწორედ რივალდოს გადაბირებაა. აკი განაცხადა კიდეც ამას წინათ, ამ საკითხის მოგვარებას ვცდილობ და მიზანთან საკმაოდ ახლოსაც ვარო.

როგორც ჩანს მართლაც ახლოსაა.



ლეონარდო: „მილანიდან" მალე წავალ

# ფიოლერის ცხოვრება: აუხდენელი საშინელი სიზმარი...



რუდი ფიოლერი

ევრო 2000-ზე ჩავარდნის შემდეგ გერმანიის ნაკრები ნელ-ნელა ნელში იმართება. მთავარ მწვრთნელად რუდი ფიოლერის მისვლამ სასარგებლო ნაყოფი გამოიღო.

თავად ფიოლერს 90 მატჩი ჩაუტარებია ბუნდესნაკრებში, 11 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება. სამი წელიწადი ლევერკუზენის „ბაიერის" სპორტულ დირექტორად იმუშავა და ამ თანამდებობაზე ყოფნისას თბილისშიც გვეწვია. შარშან ზაფხულში კი ეროვნული გუნდის საჭესთან საქვეყნოდ შერცხვენილი ერიხ რიბეკი შეცვალა.

გერმანელებმა ახალი შესარჩევი ციკლის სამივე მატჩი მოიგეს (საბერძნეთთან წუხანდელი თამაშის შედეგს, ცხადია, არ ვგულისხმობთ) და ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერები არიან. თუმცა გერმანელებისთვის მთავარი მაინც საკუთარი თავის მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან შედარებაა და ამიტომაც ჟურნალი „შპიგელი" ფიოლერს ფრანგებთან ამასწინანდელ მარცხზე და საერთოდ, ბუნდესნაკრების ამბებზე ესაუბრება.

**— ჰერ ფიოლერ, გერმანიის ნაკრებმა იმეჯი ოდნავ აღიდგინა და ამ დროს ფრანგებთან გაჯიბრება ცოტა სარისკო ხომ არ იყო?**

— ცხადია, დღეს ფრანგები უფრო ელეგანტურად თამაშობენ. მაგრამ რაღაც ჩვენც გვაქვს. ნელ-ნელა ჩვენი ქვაბიც დუღდება. წაგება ყოველთვის უსიამოვნოა, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ.

**— ჩვენსა და მათ შორის განსხვავება?**

— მთავარია მივხვდეთ, რომ ზოგჯერ სხვა ქვეყნებში ჩვენზე უკეთეს ფეხბურთს თამაშობენ. ფრანგები კი დღეს ევროპაში საუკეთესონი არიან. ნახეთ, როგორ კლუბებში ირიცხებიან მათი მოთამაშეები.

**— ეს ახალგაზრდებთან მიზანმიმართული მუშაობის შედეგია?**

— როცა ფრანგული ინტერნატების ქება მესმის, მეცინება. მე ბრემენში, რომში, მარსელში და ლევერკუზენში მითამაშია. როგორ გგონიათ, სად მუშაობენ ყველაზე ცუდად ბავშვებთან? სად და მარსელში. ყველაფერი მოდის ბრალია. აბა წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ 70-იან წლებში ბადალი არ გვყავდა, აი, მაშინ რომ ხუმრობით გვეთქვა, წარმატებას კედელზე თავის მირტყმით მივაღწიეთო, მერწმუნეთ, სხვებიც იმავეს გაიმეორებდნენ.

**— გერმანელი ზიდანის დაბადება რაზეა დამოკიდებული?**

— ეს შემთხვევითობების თანხვედრის ამბავია. გერმანიის 1990 წლის ნაკრებში დაახლოებით ერთი ასაკის ვარსკვლავები თამაშობდნენ: ბუხვალდი, მათეუსი, ბრემე, ლიტბარსკი და მე. ამ დროს უბრალოდ ნიჭიერი და იღბლიანი თაობა შეიკრიბა და მათი მიღწევები სულაც არ მიუნიშნებს ახალგაზრდებთან მომუშავე მწვრთნელების მაღალ დონეზე. მთავარი სხვა რამ გახლავთ. ყოველგვარ ნიჭს დახვეწა სჭირდება. მე, მაგალითად, მარცხენა ფეხს ლამის გულისწასვლამდე ვავარჯიშებდი ხოლმე, მინდოდა ცაცით ისევე დამერტყა, როგორც მარჯვენით.

**— შეგიძლიათ თუ არა თქვენი პროფესიონალიზმი დღევანდელ თაობას, მაგალითად, დაისლერსა და ბალაკს გადასცეთ?**

— მინდა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ წარმატებული კარიერისთვის ყველაფერი უნდა გაიღონ. ფეხბურთს ჩემი შვილებიც თამაშობენ და ხალისითაც აგორებენ ბურთს, მაგრამ მათ პარალელურად სხვა ცხოვრებაც აქვთ. მე კი, ფეხბურთის მეტი არაფერი მახსოვდა. ისევე, როგორც ლიტბარსკის, მათეუსს, ბრემეს...

**— თქვენი ყოფილი თანაგუნდელები ლიტბარსკი და ბრემე დღეს „ლევერკუზენისა" და „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელები არიან. მათეუსიც ამ პროფესიისკენ იცქირება. ვითომ ნაკრების ყოფილი ვარსკვლავები შეძლებენ იმას რასაც დღეს ფიოლერი აკეთებს?**

— ყველაფერი ასეთი იოლი რომ იყოს... მხოლოდ ფეხბურთელის გამოცდილება, თუნდაც ის დიდი ვარსკვლავი იყოს, მწვრთნელობისთვის საკმარისი არ არის. როცა კარიერას ვამთავრებდი, ჯერ კიდევ 1996 წელს, „ლევერკუზენის" მენეჯერმა რაიმონდ კალმუნდმა გუნდის გაწვრთნა შემომთავაზა. მაგრამ მაშინ უარი ვთქვი. მენეჯერობა ვარჩიე და კულისებს მიღმა ტრიალი დავიწყე. იქ რაღაც-რაღაცეები ვისწავლე. მაგალითად, ერთხელაც „რომას" თომას ჰესლერის გადაბირებაში დავეხმარე.

**— მენეჯერობისას მწვრთნელთა გადასვლა-გადმოსვლებშიც მონაწილეობდით?**

— მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთელობისას მწვრთნელებში საოცრად მიმართლებდა. ამიტომაც მიიწვია „ლევერკუზენმა" ბერტი ფოგთსი...

**— თქვენი ფეხბურთისადმი მიდგომა თანამედროვედ ითვლება.**

— კარგით ერთი, თანამედროვე ის არის, რასაც წარმატება მოაქვს. დღეს ასეთად „ლევერკუზენის" მწვრთნელთა ჯგუფს მიიჩნევენ. იქ ოთხი მწვრთნელი მუშაობს. მაგრამ თუ ხვალ ერთი კაცი შეძლებს მთავარი მწვრთნელის, პრეზიდენტის, მასაჟისტისა და დარაჯის ფუნქციების შეთავსებას და გუნდს გერმანიის ჩემპიონატში გაამარჯვებინებს, სწორედ ამ ვარიანტს სცნობენ ყველაზე თანამედროვედ და ბაძვას დაიწყებენ. წარმოიდგინეთ, რომ აქ ტაქტიკასაც არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ჩემთვის სამაგალითო ევრო 2000-ზე იტალიელთა ფინალურ მატჩში ქცევა გახლდათ. გამიკვირდა როგორ განიცდიდნენ სათადარიგოები იმათსავით, ვინც მინდორზე იყო.

**— ასეთი ერთსულოვნება გერმანიის ნაკრებშიც არის?**

— პასუხის მაგიერ კრისტიან ციგეს რეაქციაზე მოგიყვებით, როცა ის ინგლისელებთან შესარჩევ მატჩში არ დავაყენეთ. ის ხომ ინგლისში თამაშობს და რაც იცოდა ყველაფერი შემცვლელ მარკო ბოდეს მოუყვა...

**— მწვრთნელობის მერე მენეჯერად დაბრუნებას შეძლებთ?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. თუმცა ვაღიარებ, რომ სამწვრთნელო მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. წარმოიდგინეთ, სტრესების დროსაც კი, მაგალითად მაშინ, როცა ნაკრებში და „ლევერკუზენში" პარალელურად ვსაქმიანობდი და ერთ თვეში შვიდი მატჩი ჩავატარე.

**— შემოთავაზებებზე უარს თითქმის არასოდეს ამბობთ. ეს ხასიათის ბრალია?**

— რატომ, „არას" თქმაც შემიძლია. დღეს ისევ დაძაბული, საქმიანი დღეები დამიდგა და მიხარია, რომ ცუდი სიზმარი არ ამისრულდა. ასეთი რამ ბევრ ფეხბურთელს ესიზმრება: ერთხელაც ფეხბურთის ლამაზი კინო მთავრდება. ქუჩაში უბრალო ადამიანივით გამოდიხარ და ფრთხილობ, საიდანღაც გამოვარდნილმა მანქანამ არ გადაგიაროს. ყველაფერი დამთავრებულია... ასეთები მეც ხშირად დამსიზმრებია და ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი სხვაგვარად აეწყო და ისევ ფეხბურთში ვარ.



# დელ ბოსკე 2003

**მადრიდის** „რეალმა" მწვრთნელთან, ვისენტე დელ ბოსკესთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, 2003 წლამდე.

„დელ ბოსკესთან კონტრაქტის გაგრძელება იმის დასტურია, რომ ჩვენ მას უდიდეს პატივს ვცემთ და ვენდობით" — განაცხადა კლუბის დირექტორმა, წარსულში ცნობილმა ფორვარდმა ხორხე ვალდანომ — „კლუბს გადაწყვეტილი აქვს ბოლო მოუღოს იმ სამწვრთნელო აურზაურს, ბოლო ათი წლის განმავლობაში რომ სუფევდა".

მოგეხსენებათ, ვისენტე დელ ბოსკე „რეალის" მთავარ მწვრთნელად 1999 წლის ნოემბრიდან მუშაობს. მაშინ მან უელსელი სპეციალისტი ჯონ ტოშაკი შეცვალა და იმავ სეზონში სამეფო კლუბს მერვედ მოაგებინა ჩემპიონთა თასი.

ცნობილია, რომ დელ ბოსკეს მთელი შეგნებული ცხოვრება „რეალში" აქვს გატარებული. ის გუნდში 17 წლისა მივიდა და მას მერე იქ არის, ხან, როგორც ფეხბურთელი, ხანაც, სხვადასხვა თანამდებობაზე. დღეს დელ ბოსკე 50 წლისაა და ამბობს:

„ვგრძნობ, რომ უდიდესი პატივი მცეს და მეც კვლავ ერთგულად უნდა ვემსახურო ჩემს სათაყვანებელ კლუბს".

## ფეხბურთის



**ესპანურმა „სელტამ"** სურვილი გამოთქვა, ზაფხულში ნახევარმცველ ჩომინ ნაგორე შეიძინოს. გალისიელთა მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი მოედნის ცენტრში გამოცდილი ფეხბურთელის შემატებას აპირებს და სწორედ ნაგორეს დაადგა თვალი. 26 წლის ბასკი ნახევარმცველი ბილბაოს „ატლეტიკში" ირიცხება, თუმცა ბოლოს იგი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და დროებით „ოსასუნაში" გადავიდა. ესპანური სააგენტოების ცნობით, „სელტა" ნაგორეს სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს და ალბათ მიაღწევს კიდეც მიზანს.

**ავსტრალიელ** თავდამსხმელ მარკ ვიდუკას გადაბირებას მადრიდის „რეალი" ცდილობს. სეზონის დაწყების წინ „ლიდს იუნაიტედში" გლაზგოს „სელტიკიდან" ჩარიცხული 25 წლის ფეხბურთელს ევროპის სხვა წამყვანი კლუბებიც ეპატიჟებიან, მათ შორის „რომა", „ინტერი", „იუვენტუსი" და „მილანი". „ლიდს იუნაიტედს" აქამდე არაერთხელ განუცხადებია, რომ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს. თავად ვიდუკამაც აღნიშნა, პრემიერლიგაში თამაშით ბედნიერი ვარ და სხვაგან გადასვლა არ მსურსო.

**ფრანგი ნახევარმცველი ემანუელ პეტი სეზონის ბოლოს „ბარსელონადან" წასვლას აპირებს. მისი ყიდვა ლონდონის „ჩელსის" მოუწადინებია. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კატალონიურ გუნდში ზაფხულში „არსენალიდან" გადავიდა, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა. ირწმუნებიან, რომ „ჩელსი" თანახმაა ფრანგის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. იმასაც შეგახსენებთ, რომ პეტის გადაბირების სურვილს აქამდე ინგლისის პირველი დივიზიონის ლიდერი „ფულემიც" გამოთქვამდა.**

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ სერია A-ს რამდენიმე მოთამაშეს დისკვალიფიკაცია მისცა. „უდინეზეს" თავდამსხმელი რობერტო სოსა სამ მატჩს გამოტოვებს, მისი თანაგუნდელი ადრეა სოტილი კი ერთს. სოსამ სადისციპლინო კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას მკაცრი და უსამართლო უწოდა. თითომატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ „ნაპოლის" მოთამაშეები — მარეკ იანკულოვსკი, დარიო ბაჩინი და კლაუდიო ხუსაინი, აგრეთვე იუვენტუსელები — დავიდ ტრეზეგე, ედგარ დავიდსი და ჯუზეპე კარდონე „ვიჩენცადან". „ბრეშასა" და „ატალანტას" მატჩში ბრეშელ ფანთა ხულიგნობის გამო კლუბს ახლა 15 ათასი გირვანქის გადახდა მოუწევს.

**ესპანელმა ნახევარმცველმა ხავიერ ფარინოსმა, ფრანგმა სტეფან დალმამ და იტალიელმა ლუიჯი დი ბიაჯომ ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლეს და „ინტერს" სერია A-ს მომავალ ტურში ალბათ დაეხმარებიან. მილანური კლუბის კიდევ სამი ფეხბურთელი, იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი მატეო ფერარი, ურუგვაელი ალვარო რეკობა და არგენტინელი ხავიერ ძანეტი ეროვნულ გუნდში არიან გამოძახებული და გუნდს სულ მცირე, შაბათამდე ვერ შეუერთდებიან. მომავალ ტურში „პერუჯასთან" მატჩს კი დისკვალიფიკაციის გამო კრისტიან ბროკი და ვლადიმირ იუგოვიჩი გამოტოვებენ.**



რონალდო და ბავშვები

# გაერ(თ)ო

**რონალდო** ისევ ფეხბურთელია. გუშინ მას გაეროს ეგიდით, ბავშვთა ფონდის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო შეხვედრაში უნდა ეთამაშა. ახლა იტყვით, ეგ რა ფეხბურთიაო. მართალია, მაგრამ მეორე მხრივ, აბა რა არის? ის, რომ საექიმო კაბინეტების მოვლის შემდეგ ის კვლავ ბურთს ჰკრავს ფეხს, უკვე ძალიან კარგია, თანაც, ხალხს დაენახვება.

გუშინ რონალდოს პარტნიორები უნდა ყოფილიყვნენ ზიკო, ჟუნიორი, ბებეტო, რენატო გაუჩო, ჟაირზინიო, ბრანკო, მიხაელ შუმახერი (ფორმულა I-ის პილოტი), ჯანკარლო ფიზიკელა (ისიც პილოტი) და იარნო ტრული (ისიც პილოტი).

ერთი სიტყვით, სანამ ნატანჯ მუხლს პროფესიული ფეხბურთის წისქვილში ჩაყოფს, 1996 და 1997 წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დიპლომატიურად ბურთაობს — გაეროს ელჩია.

# ეს ვინ მოსულა?!

## მურნინგი კვლავ მოედანზეა

27 მარტი

**მაიამი 92:101 ტორონტო**

მაიამი: მეისონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ჰარდევეი (21)
ტორონტო: კარტერი (38), კარი (23), ვილიამსი (14 ქულა, 11 პასი)

**ჰიუსტონი 109:86 იუტა**

ჰიუსტონი: ფრენსისი (18), ტომასი (17)
იუტა: მარშალი (17), მელოუნი (15)

**სან ანტონიო 93:79 შარლოტი**

სან ანტონიო: დანკანი (34 ქულა, 19 მოხსნა)
შარლოტი: მაშბურნი (22)

**ატლანტა 112:115 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 105:105)

ატლანტა: რაიტი (27 ქულა, 18 მოხსნა), კუკოჩი (19 ქულა, 11 პასი), ტერი (24)
ბოსტონი: პირსი (41 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (16 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)

**საკრამენტო 124:117 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 110:110)

საკრამენტო: ვებერი (39 ქულა, 14 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (29)
ნიუ იორკი: ტომასი (23), რაისი (22), სპრიუელი (21), ჰიუსტონი (21)

**კლივლენდი 101:94 დეტროიტი**

კლივლენდი: ოდომი (27 ქულა, 16 მოხსნა, 11 პასი)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (21), სმიტი (17), მური (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ვაშინგტონი 102:110 ინდიანა**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (31), ალექსანდერი (23)
ინდიანა: როუზი (35 ქულა, 12 პასი), მილერი (27)

ალონზო მურნინგი დაბრუნდა. „მაიამი ჰიითის" 31 წლის ცენტრმა ექვსთვიანი განშორების შემდეგ კვლავ აათამაშა ბურთი. როგორც ჩანს, მისი ღონიერი სხეული უფრო ადრე მოერია ავადმყოფობას, ვიდრე ექიმებმა ამ ექვსი თვის წინ ივარაუდეს. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ სიდნეის ოლიმპიადის მოგებიდან ორიოდ დღის შემდეგ მას თირკმლის დაავადება, ფოკუსური გლომერულოსკლეროზი დაუდგინეს და ორგანოს გადანერგვას ბეწვზე გადაურჩა, რაც მის ვარსკვლავურ კარიერასა და იქნებ სიცოცხლესაც სასწორზე შეაგდებდა. კალათბურთელის ბედად, ავადმყოფობა განვითარების ადრეულ სტადიაზე აღმოაჩნდა და ალონზო მკურნალობის რამდენიმეთვიანი კურსით შედარებით იოლად გადარჩა, მხოლოდ ზაფხულამდე უნდა ეწამლა, რაც მურნინგს სეზონის გამოტოვებას უქადდა.

და აი, „ზო", როგორც ნაცნობ-მეგობრები მურნინგს ეძახიან, 27 მარტს „ტორონტოსთან" თამაშში გამოჩნდა. ვერ გეტყვით, საბოლოოდ სძლია დაავადებას თუ არა, მაგრამ ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო ექიმმა და მისმა მკურნალმა მურნინგს ნება დართო, იმ საქმეს დაბრუნებოდა, რაც ყველაზე უკეთ ეხერხება. ერთი კია, მურნინგი ყოველი მატჩის შემდეგ გაივლის შემოწმებას.

საკალათბურთო ამერიკა დიდად გააკვირვა მურნინგის დაბრუნებამ, რასაც დიდი აჟიოტაჟი სულაც არ ახლდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება-ხოლმე. კლუბმა იგი საპლეიოფო განაცხადში შეიყვანა, ეს იყო და ეს, სიტყვაც არ თქმულა მის თამაშზე ამ სეზონში. ამიტომ ბევრი გაოცდა, „ზოს" დაბრუნების ამბავი რომ გაიგო. ბევრმაც ეს არააუცილებელ რისკად ჩათვალა, რადგან „მაიამიმ" უმურნინგოდ თამაში ისწავლა — ბრაიან გრანტი და ენტონი მეისონი შესანიშნავად შეეწყვნენ გუნდს და „ჰითი" თითქმის არ გრძნობს დიდი ცენტრის არყოფნას. მურნინგმა კი შესაძლოა ნაადრევი დაბრუნებით ის ტოტი მოჭრას, რომელზეც ზის და ამ სეზონში კი არა, იქნებ სულ გამოაკლდეს „მაიამის". თუმც უქიმებმა მისი გულშემატკივრები დაამშვიდეს, გაუშვით, ითამაშოს, არაფერი სჭირსო. თავად მურნინგმაც, მედიკოსთა ნებართვით შეგულიანებულმა, თქვა, ჩიტივით ვარ და მსოფლიოში ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება, როცა გაჭედილი დარბაზის ფიცარნაგზე შევაბიჯებო.

„ცოტას ნერვიულობდა — თქვა მატჩის შემდეგ მურნინგის მეგობარმა და თანაგუნდელმა ტიმ ჰარდევეიმ — სხვას იქნებ ვერც შეემჩნია. ისე კი, მგონი, მართლა დაგვიბრუნდა და ფორმაშიც მალე შევა. იგი ბევრს მოძრაობდა, ცოტა მეტს, ვიდრე უწინ, რითაც ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ ნამდვილად კარგადაა". მურნინგი შეცვლაზე შევიდა და სულ 19 წუთი დაჰყო მოედანზე. ფარქვეშეთის სრული ბატონ-პატრონი არ გამხდარა, მაგრამ გვარიანად კი შეზღუდა ტორონტოელთა ოლსტარელი ცენტრი ანტონიო დევისი (12 ქულა), ამ 19 წუთში ცხრა ქულა და ექვსი მოხსნაც გააზერხა, თუმც...

მურნინგი მძლავრი ცენტრია და ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, მაგრამ მისი დაბრუნება სულაც არ გამოდგა გამარჯვების უეჭველი წინაპირობაა. „ტორონტო", მართალია, ფარქვეშ შეიზღუდა, მაგრამ „დინოზავრებმა" თამაში ფარსგარეთ გამოიტანეს და აქედან შეუტიეს მასპინძლებს. ვინს კარტერმა და დეილ კარიმ წარმატებით ბომბეს მასპინძელთა კალათი, ელვინ ვილიამსმა კი ამ ორს პასები არ მოაკლო. ვინს კარტერმა ხომ თავისი ბრწყინვალე თამაშით ლამის მურნინგის გამოჩენა დაჩრდილა და საბოლოოდ „მაიამიმ" წააგო. თუმც ეს მათთვის ახლა მეორეხარისხოვანი ამბავია, რაც მთავარია, ბოლო ორი სეზონის საუკეთესო მცველი დაუბრუნდათ ფლორიდელებს და მერე რაღა უნდა გაუჭირდეთ, როცა „ზო" ფორმაში შევა. აღმოსავლეთის უპირობო ლიდერ „ფილადელფი სიქსერზს" კი მძლავრი კონკურენტი გაუჩნდა.

ალონზო მურნინგი უეჭველად გააძლიერებს „მაიამის" და საერთოდ, კარგი გუნდებით არცთუ განებივრებულ აღმოსავლეთის კონფერენციას, მაგრამ აღმოსავლელებს გაუჭირდებათ დასავლეთთან ჭიდილი, სადაც გაცილებით ბევრ ღონიერ გუნდს მოუყრია თავი. ლიგასაც მისისიპის გადაღმელი ლიდერობს. „სან ანტონიომ" შინ „შარლოტს" მოუგო, სეზონში 50 გამარჯვება მოუგროვდა და ერთით გაუსწრო „ფილადელფიას". სანანტონიოელმა ტიმ დანკანმა, როგორც იქნა, თავი შეიწუხა და შესაძლებლობების ასი თუ არა, ოთხმოცდაათი პროცენტი გამოავლინა. „შარლოტს" 34 ქულა ჩაუგდო და 19 ბურთიც მოუხსნა. „შარლოტის" ლიდერ ჯამალ მაშბურნს ნამატჩევს უთქვამს, მგონი, ტიმი დღეს ლიგის უძლიერესი კალათბურთელია, ქარიმ აბდულ-ჯაბარს მაგონებს, ქარიმი მაღალი იყო, მაგრამ 190-სანტიმეტრიანი ბიჭივით მოძრაობდა და ტიმიც ასეთიაო.

27 მარტს „სან ანტონიოს" თანაშტატელმა „ჰიუსტონ როკიტსმაც" იმარჯვა — ერთი თავით ღონიერი „იუტა" შინ 29 ქულის სხვაობით დაიბრიყვა და კვლავ ინარჩუნებს პლეი ოფში მოხვედრის მცირე შანსს. „ჰიუსტონს" ბობოლა მეტოქის წაქცევაში მხცოვანმა ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა წაახმარა ხელი, რომელიც მურნინგის არ იყოს, იძულებითი განშორების შემდეგ დაუბრუნდა თავის გუნდს. ისიც ავად იყო, სისხლის შემცველობის ბალანსი ჰქონდა დარღვეული, რის გამოც ცხრა თამაში გამოტოვა, „იუტასთან" დაბრუნებულმა კი თავისიანებს 11 ქულა და შვიდი მოხსნა შეამველა.

საკრამენტოში ორი სრულიად განსხვავებული გუნდი შეეჭიდა ერთმანეთს. ადგილობრივმა „კინგზმა", რომელიც ნბა-ში საუკეთესო შემტევი გუნდია, თავისი ნება მოახვია ნბა-ს საუკეთესო დამცავ გუნდ „ნიუ იორკ ნიქსს", დაცვაზე უარი ათქმევინა და სწრაფ თამაშში ჩაითრია. ტაქტიკის შეცვლამ „ნიუ იორკს" მხოლოდ ავნო. გარდა იმისა, რომ წააგო, საკუთარ კალათში 124 ქულაც მიიღო, რაც ერთბაშად 18 ქულით აღემატება „ნიქსის" სეზონის ყველაზე ცუდ მაჩვენებელს. მართალია, 124 ქულის მოგროვებაში „საკრამენტოს" დამატებითი ხუთწუთეული დაეხმარა, მაგრამ „ნიუ იორკი" თუ ასე დაბეჩავდებოდა, მანამდე წარმოუდგენელი იყო. მასპინძელთა ლიდერმა კრის ვებერმა 39 ქულა მოიხვეჭა, იუგოსლაველმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა — 29, აქედან 12 ოვერტაიმში, სადაც „საკრამენტომ" სულ 14 ქულა მოაგროვა.

ორ აღმოსავლელ თანაბარძალოვან გუნდს — „ინდიანასა" და „ბოსტონს" კი არც მურნინგის დაბრუნება აინტერესებს და არც ის, ვინ ვის სძლია, ისინი ერთმანეთს ებრძვიან პლეი ოფის ბოლო საგზურისათვის. 27 თებერვალმა ორივეს მორიგი გამარჯვება მოუტანა. როგორც ჩანს, მათ შორის გამარჯვებულს დარჩენილი ორი ურთიერთშეხვედრა გამოავლენს.

**ირაკლი ფირცხვილი**



მაიამი — ტორონტო. ალონზო მურნინგმა მშობლიური მაიამის დარბაზში წლეულს პირველად ითამაშა



ვაშინგტონი — ინდიანა. ჯალენ როუზმა (მარჯვნივ) და ჟან ტაბაკმა ვაშინგტონელ მაიკლ სმიტს ბურთი გააგდებინეს

### კვირის მოთამაშე

**პოლ პირსი**

**• ბოსტონი •**

წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ „ბოსტონ სელტიქსის" 201-სანტიმეტრიანი მსროლელი-ფრთა პოლ პირსი დაასახელეს. მან სამი თამაშიდან ორი ლამის პირადად მოაგებინა „კელტებს", რომლებსაც ბოლო ექვს წელიწადში პლეი ოფში მოხვედრის ყველაზე რეალური შანსი აქვთ და მის გამოყენებას აპირებენ. „ბოსტონმა" აღმოსავლეთის მერვე ადგილისთვის და შესაბამისად, პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში წინა სეზონის ვიცე-ჩემპიონ „ინდიანს" უნდა ჩამოიტოვოს და მისთვის ყოველი გამარჯვება ოქროდ ფასობს. პოლ პირსმა კი გასულ კვირაში ორი გამარჯვება მოუნაგრა თავის გუნდს, თავად კი ამ სამ მატჩში საშუალოდ 39,0 ქულა, 7,0 მოხსნა და 3,0 პასი მოიხვეჭა.

არადა, კვირა ერთობ უიღბლოდ დაიწყო „კელტებისთვის". ოთხშაბათს ისინი „სან ანტონიოსთან" 77:97 განადგურდნენ და მიუხედავად იმისა, რომ პირსმა 37 ქულა გააკეთა, ცოტა თუ იფიქრებდა, რომ კვირის ბოლოს იგი ამ ტიტულს მოიპოვებდა. თუმცა მომდევნო ორ შეხვედრაში, ხუთშაბათს „ნიუ ჯერსისთან", სამი დღის შემდეგ კი „ჩიკაგოსთან" პირსის უხვქულიანობა წარმატების საწინდარი გამოდგა. მომავალმა კვირის რჩეულმა ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსის" კარიერაში სარეკორდო, 44 ქულა ჩაუგდო და თავისიანებს 113:98 მოაგებინა. „ჩიკაგოს" 102:98 ძლევაში კი პირსმა 36 ქულით შეიტანა წვლილი, აქედან 13 მატჩის ბოლო ოთხნახევარ წუთში გააზერხა. ამ გამარჯვებით „ბოსტონი" მერვეადგილოსან „ინდიანას" გაუტოლდა, ამდენად, პირსის გარჯა ორმაგად დასაფასებელია.



პოლ პირსს ვერ აჯობეს და უტიტულოდ დარჩნენ ტიმ ჰარდევეი (მაიამი), რეი ალენი (მილუოკი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), აარონ მაკკი (ფილადელფია), ჯეისონ კიდი (ფინიქსი) და დერიკ ანდერსონი (სან ანტონიო).

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ფილადელფია* | 49 | 21 | 70,0 |
| მაიამი | 42 | 28 | 60,0 |
| ნიუ იორკი | 42 | 28 | 60,0 |
| ორლანდო | 38 | 32 | 54,3 |
| ბოსტონი | 32 | 38 | 45,7 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 49 | 32,9 |
| ვაშინგტონი | 17 | 54 | 23,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი* | 44 | 26 | 62,9 |
| შარლოტი | 40 | 31 | 56,3 |
| ტორონტო | 39 | 32 | 54,9 |
| ინდიანა | 32 | 38 | 45,7 |
| კლივლენდი | 26 | 44 | 37,1 |
| დეტროიტი | 25 | 46 | 35,2 |
| ატლანტა | 21 | 51 | 29,2 |
| ჩიკაგო | 12 | 58 | 17,1 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო* | 50 | 21 | 70,4 |
| იუტა | 47 | 23 | 67,1 |
| დალასი | 45 | 25 | 64,3 |
| მინესოტა | 42 | 28 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 39 | 32 | 54,9 |
| დენვერი | 34 | 37 | 47,9 |
| ვანკუვერი | 20 | 52 | 27,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 47 | 22 | 68,1 |
| ლეიკერსი | 47 | 24 | 66,2 |
| პორტლენდი | 46 | 24 | 65,7 |
| ფინიქსი | 42 | 27 | 60,9 |
| სიეტლი | 39 | 34 | 53,4 |
| კლიპერსი | 26 | 46 | 36,1 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 53 | 24,3 |

* — გავიდა პლეი ოფში

## სუპროლიგა

მერვედფინალი. პირველი მატჩები. 27 მარტი

**ულქერი 91:81 სკავოლინი**

ულქერი: აჩიკი (7), ერდენაი (9), გოლიოვიჩი (19), გონლუმი, გიულერი (2), ჰენდლოგტენი (12), ლოლისი (24), ფაჩულია (1 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა), პერსელო, სარიჯა, ილდირიმი (18)

სკავოლინი: ბუკერი (16), გიგენა (16), ჯონსონი (16), მაჯოლი, ლ. მიდლტონი (3), პეჩილე (3), ტრაინა (21), ტუშეკი (9), ძანელი (2)

**ეფესი 89:78 ლიეტუვოს რიტასი**

ეფესი: ბეშოქი (13), პ. დრობნიაკი (26), მულაომეროვიჩი (23), ოქური (2), ონანი (7), შჩეპანოვიჩი (14), თუნჩერი (4), ილმაზი

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (14), ა. იავტოკასი (2), რ. იავტოკასი (14), კაზლაუსკასი (10), მასიაუსკასი (17), შესტოკასი (10), შიშკაუსკასი (11), სლეზასი

**ცსკა 94:76 ოსტენდე**

ცსკა: ალანოვიჩი (11), დომანი (9), ეინიკისი (16), ფეტისოვი, კირილენკო (19), კუდელინი (12), ლარუ (8), მორგუნოვი (10), პეტრენკო (9)

ოსტენდე: ბეგინი (2), ბიგსი (9), დოილი (2), ჰოლდენი (30), კულამი (11), პეშკა (6), ჰრაშკევიჩუსი (1), ვან დენ შპიგელი (15)

**ირაკლისი 78:67 ალბა**

ირაკლისი: ხაძიგრეტასი (23), ხრიზანტოპულოსი (6), დიამანტიდისი (3), ჰუპმანი (2), კამარიოტისი (9), კარასიოვი (7), ნაკიჩი (18), პაპადოპულოსი (10), პაპაიოაკეიმი

ალბა: ალექსისი (18), გარისი, კოტუროვიჩი (12), ლუტკე (7), ოზთურქი (4), პეშიჩი (3), ფელპსი (17), როდლი (6)

**მაკაბი 81:75 ცეპტერი**

მაკაბი: ბრისკერი (4), ბურშტეინი (4), ჩურჩიჩი (2), ჰენფელდი (15), ჰაფმანი (10), მაკდონალდი (16), პარკერი (15), შარფი (11), შელეფი (4)

ცეპტერი: ადომაიტისი (5), აგლიაში (1), ჯემისონი (22), კოსციუკი (10), მაკნაული (6), მიგლინიეკსი (7), ვოიციკი (8), ზიელინსკი (16)

**სპლიტი 79:78 პო ორტეზი**

სპლიტი: ბადჟიმი (7), გრეგოვი (12), გრგურევიჩი (7), ლენდი (12), პოლიაკი, რენჩერი (16), სუბოტიჩი (3), ვუიჩიჩი (12), ჟიჟიჩი (10)

პო ორტეზი: დიავი (3), დიუბო (13), ესტელერი (3), ფოტუ (6), დ. გადუ (6), ლოუსონი (15), მაკკალოფი (12), ფ. პიეტრუსი (16), მ. პიეტრუსი (4)

**პარტიზანი 80:73 ვილერბანი**

პარტიზანი: ბერიჩი (25), ბულატოვიჩი (10), ჩანაკი (13), გლინტიჩი, მარკოვიჩი (6), მილისავლიევიჩი (14), პეტროვიჩი (8), ვარდა (4)

ვილერბანი: ბილბა (15), ბლომი (2), ედვარდსი (26), ფრიგუ (2), ჰოფმანი (8), პაშუტინი (10), პლუვი, სკიარა (10)

**პანათინაიკოსი 82:65 კრკა**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (13), კალაიძისი (7), კოხი (3), როჯერსი (6), ფოცისი (4), ჯენტილე, ბოდიროგა (11), დ. მიდლტონი (8), რებრაჩა (13), ბერკი (11), ბალოიანისი (6)

კრკა: ანზულოვიჩი (9), იევტოვიჩი, დონჩიჩი (2), პეტროვი (3), მიჰაილოვიჩი, დევისონი (20), გრუმი (16), დ. დრობნიაკი (13), კორტნი, არაპოვიჩი (2)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 29 მარტს*



REUTERS

პარტიზანი — ვილერბანი.
ლორან სკიარა პარტიზანელ ნენად ჩანაკს გაურბის




☎ (231) 7 17 58

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაოსთან"




მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეოთხე ეტაპი. (ესპანეთი)

# ფრანგების ესპანური ბენეფისი



დიდიე ორიოლმა კარიერაში მეოცე რალი მოიგო

**ორწლიანი** შესვენების შემდეგ რალის არენაზე კვლავ გამოჩნდა „სიტროენი“, თუმც ფრანგული კონცერნი მიმდინარე სეზონში სულ ოთხ ეტაპზე გამოსვლას გეგმავს და ამდენად საჩემპიონო დავაში ვერ ჩაერევა.

ახალდაბრუნებულთა ორივე ეკიპაჟს კატალონიის გზებზე დასაწყისიდანვე თავი ყოჩაღად ეჭირა. სტარტიდან ხესუს პურასი და მარკ მარტინი დაწინაურდნენ, ფილიპ ბუგალსკისა და ჟანპოლ ჩიარონის „სიტროენიც“, სამუხრუჭე პრობლემების მიუხედავად, ექვსეულში იყო.

ესპანეთის რალის 1815-კილომეტრიანი დისტანციის მეხუთედი 18 ჩქაროსნულ მონაკვეთზე განაწილდა. პურასი მეორე დღესაც ლიდერობდა, „გამოჯანმრთელებული“ ბუგალსკი კი მას კვალში მიყვებოდა. ტომი მაკინენის „მიცუბიში“ წინ წასულს 25 წამით ჩამორჩებოდა, ხოლო მეორე ფინელის, მსოფლიოს ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმის „პეჟო“ ერთ-ერთ მოსახვევში გზას გადასცდა და ბრძოლას გამოეთიშა.

ფინიშამდე ვერც პურასმა მიაღწია. მას შემდეგ, რაც მის მანქანაზე საწვავის მიწოდების სისტემა გამოვიდა მწყობრიდან, ლიდერობა ბუგალსკიმ იგდო ხელთ. კატალონიის რალის შარშანწინდელი გამარჯვებული დამაჯერებლად მიიწევდა წინ — რვა ჩქაროსნული უბანი ყველაზე სწრაფად გაიარა, „პეჟოზე“ ამხედრებული თანამემამულე დიდიე ორიოლი 25 წამით ჩამოიტოვა და მოგებაც თითქოს გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ სიჩქარის გამთიშველი გაუფუჭდა და მხოლოდ მეოთხემ დაასრულა რბოლა. თუმცა ბუგალსკის პრობლემები ამით არ ამოწურულა. შეფერხების გამო რაკი მორიგი ჩქაროსნული მონაკვეთის სტარტზე მისვლა დააგვიანა, მის შედეგს ორი საჯარიმო წუთი დაუმატეს, რამაც ერთბაშად მერვე ადგილზე გადაისროლა და ის სამი ქულაც დააკარგვინა.

პირველობა 1994 წლის ჩემპიონმა ორიოლმა (შტურმანი დენის ჟიროდე) დაისაკუთრა. ეს მის კარიერაში მეოცე გამარჯვებაა, რასაც ფრანგი პილოტი ორი სეზონი ელოდა. წლევანდელი გათამაშების ლიდერებმა — მაკინენმა და რისტო მანისენმიაკიმ მართალია, ჩამორჩენის დაძლევა ვერ შეძლეს, მაგრამ მაინც პოდიუმზე აღმოჩნდნენ და კიდევ უფრო გაზარდეს საერთო ჩათვლაში თავიანთი უპირატესობა.

მეხუთე ეტაპს მაისის დამდეგს არგენტინა უმასპინძლებს.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) | 3 სთ, 40.54,7 | 10 |
| 2. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) | ჩამორჩა 23,2 | 6 |
| 3. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) | 1.01,4 | 4 |
| 4. ფრედ ლუაქსი (ბელგია, მიცუბიში) | 2.16,7 | 3 |
| 5. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 2.35,7 | 2 |
| 6. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) | 2.43,7 | 1 |

**საერთო ჩათვლა**

1. მაკინენი 24 ქულა; 2. საინსი 18; 3. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 10; 4. ორიოლი 10; 5. დელაკური 9; 6. ტომას რადსტრომი (შვედეთი, მიცუბიში) 6; 7. პანიზი 6; 8. ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, პეჟო) 5; 9. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 4; 10. ლუაქსი 4.



# ბარსელონას ევროპის ნაკრები მოერია

**ვაჟ** ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში „ბარსელონა“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი იყო — ნახევარფინალამდე გამართული რვა შეხვედრიდან ექვსი მოიგო, ორი კი ფრედ დაასრულა. მეცხრე თამაშში ლიგის შარშანდელი გამარჯვებულის მომრევიც გამოჩნდა.

კატალონიურ კლუბს სხვადასხვა ქვეყნის სუპერვარსკვლავებით გადაჭედილ გერმანიის ჩემპიონის სახით მრისხანე კონკურენტი ჰყავდა. „კილმა“ ამ მატჩში რვა ევროპელი ლეგიონერი ათამაშა (ოთხი შვედი, ორი დანიელი, თითო ნორვეგიელი და იუგოსლავიელი), შინაურები სულ ოთხნი იყვნენ. „ბარსა“ შესვენებამდე ყოჩაღად იგერიებდა მოწინააღმდეგის იერიშებს და ტაიმი მხოლოდ მინიმალური სხვაობით (11:12) დათმო. თამაშის მიწურულს კი მასპინძლებს მეტი ჯანი და სიზუსტე შერჩათ და მათი უპირატესობა ოთხ ბურთამდე გაიზარდა. ესპანელთა კარი ექვს-ექვსჯერ დალაშქრეს იუგოსლავიელმა ნენად პერუნიჩიჩმა და სიდნეის ოლიმპიადის საუკეთესო მოთამაშემ, შვედმა სტეფან ლოვგრენმა. სტუმართაგან შედეგიანობით მათი ეროვნული ნაკრების წევრები ენრიკ მასიპი (6) და დემეტრიო ლოსანო (5) გამოირჩნენ. შეძლებს თუ არა „ბარსელონა“ ოთხგოლიანი ჩამორჩენის დაძლევას, საპასუხო მატჩში გაირკვევა.

უფრო მწვავედ წარიმართა მეორე ნახევარფინალური შეხვედრა. კიდევ ერთ ესპანურ გრანდს, ევროპის საკლუბო ჩემპიონ „პორტლენდ სან ანტონიოს“ მისსავე მოედანზე „პივოვარნამ“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, ტაიმი ფრით (14:14) დაასრულა და არც შესვენების შემდეგ მისცა ტიტულოვან მეტოქეს საგრძნობლად დაწინაურების საშუალება. სტუმრად მხოლოდ ორბურთიანი მარცხი სლოვენიელ მელუდეებს ფინალში გასვლის მშვენიერ პერსპექტივას უქმნის, თუმცა პამპლონელთა ძლევა, ცხადია, უძნელესი საქმეა. სლოვენიელთაგან საუკეთესომ, 22 წლის ალეშ პაიოვიჩმა შვიდი გოლი გაიტანა, ტომას ტომშიჩმა — ერთით ნაკლები. ესპანელთა მხრიდან ექვსჯერ იყოჩაღა 32 წლის ოსკარ მაინერმა, ხოლო მისი კბილა ფრანგის, მსოფლიოს ჩემპიონ ჯექსონ რიჩარდსონის ოთხი ტყორცნა აღმოჩნდა ზუსტი. „პორტლენდის“ ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე, ბელარუსი მიხაილ იაკიმოვიჩი ამჯერად მხოლოდ სამს დასჯერდა.

ფინალისტთა ვინაობას კვირას შევიტყობთ.

**ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა**

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

**კილი (გერმანია) 28:24 ბარსელონა (ესპანეთი)**

**პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 30:28 პივოვარნა (სლოვენია)**

*საპასუხო თამაშები 1 აპრილს გაიმართება*

# პერეკმა ხმა ამოიღო



მაშინ სხვა დრო იყო: მარი ჟო პერეკი ატლანტის ოლიმპიადის პოდიუმზე

**როგორც** იქნა, მარი ჟო პერეკმა დუმილის ალთქმა გატეხა და ქვეყანას თავი შეახსენა. ნახევარი წლის წინ სიდნეის ოლიმპიადაზე პერეკის სკანდალური ამბავი გეხსომებათ. გვადალუპაზე შობილი შავი ფრანგი თამაშებზე 400-მეტრიანი რბენის ფავორიტთაგანი იყო, რადგან 1992 წელს ბარსელონასა და 4 წლის შემდეგ ატლანტაში ანალოგიური დისტანციები მოიგო და ატლანტაშივე 200 მეტრი მოაყოლა. თუმცა 1997-დან პერეკს ტრავმები სტანჯავდა, ამიტომ სიდნეიში მასზე ალმატებულად ადგილობრივი აბორიგენი კეტი ფრიმენი ითვლებოდა. ზედ შეჯიბრების წინ პერეკი სიდნეიდან მოულოდნელად აიყარა და სირბილ-სირბილით გაქანდა პარიზისკენ. იქ ნაჩქარევად განმარტა თავისი საქციელი, სიდნეიში მასმედიამ შემშალა და ფრიმენის გიჟი ფანები არაერთხელ დამემუქრნენო. სულ ეს იყო. შემდეგ პერეკი გაქრა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და მისი კვალი ყველაზე გაქქილმა ჟურნალისტებმაც ვერსად იპოვეს.

სამი დღის წინ საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან კლოდ პერინმა ელექტრონული ფოსტით პერეკის წერილი მიიღო. მასში არ ჩანს მძლეოსნის ადგილსამყოფელი. ჩემზე ნუ ნერვიულობთ, დაუწერია პერეკს, ჯანმრთელად და ბედნიერად ვარ, ცოტა ხანში გამოვჩნდებიო. „მე მგონი, მან რეაბილიტაციისთვის დიდი ნაბიჯი გადადგა — აღნიშნა პერინმა — იმედია, მალე სრულიად აღიდგენს სულიერ სიმშვიდეს და დაგვენახვება".

ამაზე მეტი ოფიციალურ პერსონას არაფერი უთქვამს. არც ის, გააგრძელებს თუ არა პერეკი სირბილს, ან საერთოდ რა გეგმები აქვს 32 წლის ასაკში. ეტყობა, თავად მძლეოსანმა გადადო ამ თემაზე საუბარი. იგი ლაპარაკის იმტაზე ჯერაც ვერ უნდა იყოს, რაზეც ოქტომბრიდან განუახლებელი მისი ვებგვერდი მეტყველებს. თუმცა, ალაპარაკდებიო და რა გზაა, დაველოდოთ...

**დავით ბულია**

## რომის მარათონი

# მარათონი კოლიზეუმთან



REUTERS

რომის მარათონი კოლიზეუმთან დაიწყო და დამთავრდა

**კვირას** რომის მარათონი შედგა. უამრავი მორბენალიდან მეტი წილი იტალიელები იყვნენ და არც ერთი ელიტარული მომარათონე — რომის შეჯიბრება მათ თვალში უდიდესი პოპულარობით არ სარგებლობს.

ამის მიუხედავად, მარადიული ქალაქის ქუჩებში იმ დღეს ფრიადი სიცოცხლე ჩქეფდა. მორბენლებმა ექსკურსიასავით ამბავი მოაწყვეს და თითქმის ხულ შემოირბინეს რომის შეიდი ისტორიული და კიდევ სხვა ბორცვები. ფინიში კოლიზეუმთან იყო და იტალიელ ოტავიო ანდრიანის მთელი გულით სურდა, დიდებულ ადგილას სამშობლო ესახელებინა. ამ მიზნით იგი 37-ე კილომეტრზე დაწინაურდა და ენერგიულად გაქუსლა, მაგრამ ახრდილებით აედევნენ თვისტომი, ხელობით კარაბინერი ალბერიკო დი ჩეკო და კენიელი ჰენრი ჩერონო. სულ რამდენიმე წუთში ცხადი გახდა, რომ საპრიზო ადგილებს ეს სამეული გაინაწილებდა, რადგან სხვები თანდათან ჩამორჩნენ. მეორმოცე კილომეტრზე ისიც საბოლოოდ გაირკვა, რომ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი მესამე ადგილს უნდა დასჯერებოდა და პირველობისთვის ანდრიანისა და ჩერონოს უნდა ებრძოლათ. მცირე ქიშპის შემდეგ კენიელმა იმძლავრა და წინ გაიჭრა, მაგრამ ისტორია ამით არ დამთავრებულა. უკვე კოლიზეუმის ჩრდილქვეშ ანდრიანიმ კიდევ ერთხელ სცადა, ზანგს დასწეოდა და კინაღამ გამოუვიდა. ჩერონომ თითქმის ბეწვზე მოასწრო ფინიშთან. იტალიელებს სანუგეშოდ ქალთა მარათონის მოგებაღა დარჩათ.

**დავით ბულია**

| ვაჟები |
| --- |
| 1. ჰენრი ჩერონო (კენია) 2:11,33 |
| 2. ოტავიო ანდრიანი (იტალია) 2:11,39 |
| 3. ალბერიკო დი ჩეკო (იტალია) 2:12,43 |
| **ქალები** |
| 1. მარია გიდა (იტალია) 2:30,41 |
| 2. ემებეტ აბოსა (ეთიოპია) 2:36,29 |
| 3. ანჯელინა კანანა (კენია) 2:39,07 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი. პირველი ეტაპი. მილანი — სან რემო (293 კმ)

# გარდაქმნა გაზაფხულზე



ერიკ ზაბელი მილან — სან რემოს მოგების შემდეგ

**„ეს** წელიწადის პირველი დიდი რბოლაა. აქ პირველად ვგრძნობ გაზაფხულს. გზა გრძელი და რთულია, გამარჯვებაც ყოველთვის უძნელესია. თუმცა ამ დღეს სავსებით სხვა მრბოლად გარდავიქმნები ხოლმე და ჩემი შეჩერებაც თითქმის შეუძლებელია" — თქვა 92-ე მილან — სან რემოს წინა დღეს გერმანელმა ერიკ ზაბელმა, რომელსაც ეს კლასიკური რბოლა სამჯერ (1997, 1998, 2000 წლები) მოეგო.

მეორე დღეს კი ტელეკომელი ტრადიციულად გარდაიქმნა და „გაზაფხული" მეოთხედ დასრულდა მისი გამარჯვებით. ბოლო ხუთი „ტურ დე ფრანსის" საუკეთესო სპრინტერმა და მწვანე მაისურის მფლობელმა თავისი 106-ე წარმატებით იზეიმა პროფესიულ კარიერაში, რომელიც 1993 წელს დაიწყო. ბერლინელს, რომელიც დორტმუნდის მახლობლად პატარა ქალაქ უნაში ცხოვრობს, ახლა მხოლოდ ლორან ჟალაბერი და შაბათს მეორე ადგილზე გასული მარიო ჩიპოლინილა უსწრებენ. მილან — სან რემო კი მხოლოდ ლეგენდარულმა ედი მერქსმა მოიგო ზაბელზე მეტჯერ, „კანიბალს" აქ 7-ჯერ უმარჯვნია. იტალიელთა ერთ-ერთმა საყვარელმა მრბოლმა ჯინო ბარტალიმ კი, ზაბელის მსგავსად, ოთხჯერ გადაკვეთა პირველმა სან რემოს ვია რომაზე მოწყობილი ფინიში.

„პრიმავერა" წლეულსაც ჯგუფური სპრინტით დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ გზად პელოტონს საკმაოდ შეხვდა სირთულეები. როგორც ყოველთვის, ამჯარადაც იყო შეტევები და კვლავ კარგა ხანს შეინარჩუნეს ლტოლვილებმა ლიდერობა. რიტცელმა, ლატასამ, კადლეცმა და მატვეევმა ძალიან შორიდან შეუტიეს, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლეს. უკანასკნელმა მატვეევმა გამოაცხადა კაპიტულაცია ფინიშამდე 25 კილომეტრით ადრე.

აღსანიშნავია, რომ სეზონის პირველი „კლასიკის" ტრასამ წლეულს ოდნავ სახე იცვალა. პასო დელ ტურკინოს ნაცვლად, რომელიც მეწყერის გამო ამოვარდა დღის წესრიგიდან, მრბოლებმა 19 კილომეტრიანი ბრიკ ბერტონი დალაშქრეს დისტანციის დასაწყისში. ამ სიძნელის შემდეგ სან რემომდე კიდევ 143 კილომეტრი რჩებოდა და თითქოს ბრიკ ბერტონს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამ აღმართზე ბევრმა დიდი ენერგია დახარჯა, რამაც ბოლოს იჩინა თავი.

იტალიის ჩემპიონის მიკელე ბარტოლის აზრით, ამ მთაზე სპრინტერებს უნდა გასჭირვებოდათ და პელოტონს ჩამორჩენოდნენ. თუმც პეპლებმა მთიელებს ტოლი არაფერში დაუდეს და არც აღმართზე და არც დაღმართზე არ მისცეს წინ გაჭრის შესაძლებლობა, რაშიც, თავისთავად, თანაგუნდელებიც დიდად დაეხმარნენ. მათ შემდეგაც იყოჩაღეს და ჩიპრესასა და პოჯიოს სიძნელეებიც წარმატებით გადალახეს.

ჩიპრესაზე მსოფლიო კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა, ფრანჩესკო კასაგრანდემ შეუტია და პეტერ ფარაიზინი, პაოლო ბეტინი, გაბრიელე ბალდუჩი და პაოლო სავოლდელიც აიყოლია. თუმცა „ტელეკომმა" ლტოლვილთა შორის ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვის „შეგზავნა" მოახერხა. სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანის პასიურობამ დანარჩენები ნერვებზე მოშალა და პელოტონსაც მეტი რა უნდოდა, მალე დაეწია მათ. პოჯიოზე კიდევ ერთი ძლიერი შეტევა გააუვნებლეს ტელეკომელებმა და ზაბელს გამარჯვებისთვის ნიადაგი მშვენივრად მოუმზადეს.

ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე ზაბელი თავის მეგობარ ფანინის მიჰყავდა, მის უკან კი უამრავი პეპელა „დაფარფატებდა". ბოლო კილომეტრის წინ გერმანელს 34 წლის მარიო ჩიპოლინი დაეწია, რომელსაც „პრიმავერას" მოგება ოცნებად ქცევია. კიდევ 500 მეტრის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი რომანს ვაინშტეინსიც გაერია მარაქაში. ფინიშამდე 300 მეტრით ადრე ზაბელმა სპრინტი წამოიწყო და...

„მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას წლეულს აღარ ვაპირებ, რადგან შარშან ამან ძალიან ბევრი ძალ-ღონე წამართვა. თუმცა „კლასიკების" მოსაგებად ისევ მზად ვარ" — განაცხადა ზაბელმა. ჩვენის მხრივ კი დავამატებთ, რომ თუ „კლასიკები" მოიგო, თასსაც ვერავინ შეეცილება, რადგან მსოფლიოს თასი 10 ეტაპად სწორედ კლასიკური, ერთდღიანი რბოლებია დადგენილი. თითოეულის მოგებისთვის 100 ქულაა განკუთვნილი, მომდევნო ადგილები კი შესაბამისად 70, 50, 40, 36, 32, 28, 24, 20, 16, 15, 14, 13, 12... ა. შ. ქულებით ფასდება.

**გაგი ბურული**

| რბოლის შედეგები |
| --- |
| 1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 7 სთ 23 წთ 13 წმ |
| 2. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) |
| 3. რომანს ვაინშტეინსი (ლიტვა, დომო) |
| 4. ბიაჯო კონტე (იტალია, საეკო) |
| 5. პაოლო ბეტინი (იტალია, კანტინა ტოლო) ყველას იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. ერიკ ზაბელი 100 ქულა |
| 2. მარიო ჩიპოლინი 70 |
| 3. რომანს ვაინშტეინსი 50 |
| 4. ბიაჯო კონტე 40 |
| 5. პაოლო ბეტინი 36 |


რესტორანი მშვიდი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ჩემპიონის რჩევა

კი ბისკეინი (აშშ). „ერიქსონის თასი“.
პარკი. საპრიზო 6,12 მილიონი $

**ქალები**

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანკე ჰუბერი (10, გერმანია) 7:6, 6:0; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ელენა დოკიჩი (21, ავსტრალია) 6:2, 6:3.**

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ WTA ტურზე ყველაზე თვალსაჩინო და საინტერესო მარტინა ჰინგისისა და ვინუს უილიამსის სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლებია. იშვიათი გამონაკლისების გარდა, როგორც, მაგალითად, წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალი იყო, 20 წლის შვეიცარიელისა და მასზე ერთი თავით მაღალი შავი ვენერას შეხვედრები ჩოგბურთის გულშემატკივრებსაც არ დატოვებს გულგრილს.

დღეს კი ბისკეინის ტურნირის ნახევარფინალში იღბლიანი მაყურებლები სწორედ ამ დუეტის მორიგი შერკინების მომსწრენი გახდებიან.

„მოუთმენლად ველი ვინუსთან ხელმეორედ შეხვედრას. ვფიქრობ, მას ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი გასული კვირის მოვლენების შემდეგ, მეტ ზეწოლასაც სწორედ ის უნდა გრძნობდეს. თანაც ქომაგებს ვერ გაუგიათ, რა მოხდა მელბურნში, როდესაც საათზე ნაკლებში 6:1, 6:1 გავანადგურე. იქნებ, ბევრის აზრით, ფავორიტიც ვიყო, მაგრამ მასთან თამაში ყოველთვის ძნელია“ — პირველმა ჰინგისმა ილაპარაკა.

მეოთხედფინალში ანკე ჰუბერთან შეხვედრის პირველ ხელში მარტინას დიდი ჯაფა დაადგა. გერმანელი 5:3 დაწინაურდა და სეტ-პოინტსაც კი მიატანა, სანამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გონს მოეგებოდა და დიდი ძალისხმევით ანგარიშს გაათანაბრებდა. სამაგიეროდ, ამის შემდეგ ჰინგისი მაღაზე მოვიდა და მატჩის ბოლომდე მეტოქეს ერთი გეიმიც კი აღარ დაანება.

შვეიცარიელს ჩოგბურთის გარდა ამ დღეებში გაცილებით დიდი თავის ტკივილიც აქვს — 2 აპრილს მაიამიში დუბრავკო რაჟევიჩის სასამართლო პროცესზე მოუხდება ჩვენების მიცემა. 45 წლის ხორვატი შარშან ჩოგბურთელის დევნისგამო დააკავეს და მთელი ეს ხანი ციხეში გაატარა.

„ვცდილობ თავი შევამზადო ამისთვის, არ დაგიმალავთ, ძალიან ვღელავ და ამაზე ხშირად ვფიქრობ. დიდი იმედი მაქვს, რომ მთელ საქმეს მალე ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღება და მეტად აღარ გავიხსენებ“ — აღნიშნა მარტინამ, რომელსაც რაჟევიჩი ყვავილებსა და სასიყვარულო წერილებს უგზავნიდა და სამ სხვადასხვა კონტინენტზე დაჰყვებოდა უკან.

ჰინგისის გარდა პროცესზე მონაწილეობის მისაღებად რაჟევიჩის ადვოკატმა ლებ უილიამსებსა და ლინდსი დევენპორტსაც უხმო, ანა კურნიკოვა და მონიკა სელეში კი ამ უსიამოვნო გასეირნებიდან ტრავმებმა დაიხსნა.

რაც შეეხება ვინუს უილიამსს, ის მეოთხედფინალში ჰინგისზე არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. შავკანიანმა ამერიკელმა ამომავალი ვარსკვლავი ელენა დოკიჩი თამაშის თითქმის ყველა კომპონენტში დაჩაგრა და შარშან რომში ნაწვნევი სამარცხვინო მარცხისთვის (1:6, 2:6) შური იძია.

„სხვა თუ არაფერი, საკუთარი მოწოდებით სავსებით კმაყოფილი ვარ — განაცხადა ვინუსმა, რომელსაც მატჩში 9 ეისი დაუგროვდა და მოწოდება ერთხელაც არ დაუკარგავს — იმედია, მომდევნო შეხვედრაში კიდევ უფრო უკეთ ვითამაშებ. წინა მატჩთან შედარებით შესამჩნევად მოვუმატე“.



მარტინა ჰინგისს სამშობლოში ჩვენების მიცემა მოუხდება

REUTERS კი ბისკეინიდან

**ვაჟები**

სამშაბათს კი ბისკეინში ვაჟებმა ერთბაშად ორი ტურნირის რეკორდი დაამყარეს. პირველმა თავი 18 წლის ენდი როდიკმა გამოიჩინა. ამერიკული ჩოგბურთის იმედი, რომელმაც აქამდე პიტ სამპრასისა და მარსელო რიოსის გამწარება მოასწრო, ტურნირის ისტორიაში უმრწემესი მეოთხედფინალისტი გახდა.

რუმინელი ანდრეი პაველის წინაამდეგობის დაძლევას როდიკი, უპირველეს ყოვლისა, თავის კერპსა და გულშემატკივარ ანდრე აგასის უნდა უმადლოდეს. 5:2 დაწინაურების შემდეგ ამერიკელმა რატომღაც აურია, საკუთარი მოწოდება ზედიზედ ორჯერ დათმო და 5:6-ზე სეტ-პოინტის გადარჩენაც მოუხდა, როდესაც სულზე წვიმამ მოუსწრო.

იქვე, ტრიბუნებზე მჯდომმა აგასიმ, რომელიც ESPN-ის არხზე მატჩს კომენტარს უკეთებდა, ერთსაათიანი იძულებითი შესვენების დროს არ დაიზარა და უმცროსი კოლეგა გასახდელში მოინახულა. „მან მითხრა, გონზე მოვსულიყავი და დავწყნარებულიყავი, რამდენიმე საჭირო რჩევაც მომცა თამაშის ტაქტიკის შესახებ. მაგალითად, მითხრა, მნიშვნელოვან მომენტში მთელი ძალით კი არა, პირიქით, ნელა მოაწოდეო. ასეც მოვიქეცი და ჩემდა გასაკვირად, არა, გასაკვირად არა, სასურველი შედეგი მივიღე“ — გაახსენა მოგვიანებით ამერიკელმა.

როდიკმა პირველ ხელში მეტად დაძაბულ ტაი-ბრეიკზე იმარჯვა, მერე კი მისი უპირატესობა უკვე შესამჩნევი გახდა — 7:6 (11:9), 6:2. „ის, რომ ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ჩემპიონს ჩემი დახმარება სურს, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივია. ანდრე შესანიშნავი ადამიანია. როდესაც პირველად გამომიწოდა ხელი, ცოტა გაოცებული დავრჩი, მაგრამ ახლა მისგან უკვე აღარაფერი მიკვირს“ — მიაჩნია როდიკს, რომელიც აგასისთან ერთად ხშირად ვარჯიშობს.

ხოტორა ლასვეგასელს ამ დღეს საქმე არაფერი ჰქონდა. ანდრეს მეტოქემ, გერმანელმა ტომი ჰაასმა წინა მატჩში ფეხი დაიზიანა და თამაში კი არა, სიარულიც უჭირდა, ამიტომ მეოთხედფინალში ასპარეზობაზე უარი განაცხადა.

მეოთხედფინალში აგასი ხორვატ ივან ლუბიჩიჩს შეხვდება, რომელიც ტურნირის მეორე რეკორდსმენი გახლავთ — ის პირველი კვალიფიკაციაგავლილი მოთამაშეა, ვინც კი ბისკეინში ასე შორს გაღწევა მოახერხა. ისე, ლუბიჩიჩი შესარჩევ ტურნირზე ესპანელ ხაკობო დიასთან დამარცხდა და ძირითად ბადეშიც მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ბოლო წუთს რიჩარდ კრაიჩეკმა ტრავმის გამო თამაში ვერ შეძლო.

„თვითმფრინავის ბილეთი უკვე აღებული მქონდა შინ დასაბრუნებლად, ახლა კი მეოთხედფინალში ვარ. როდესაც ტურნირზე ასე მოხვდები, დასაკარგი მართლაც არაფერი გაქვს, ალბათ, იმიტომაც ვთამაშობ კარგად. ანდრესთან თამაშს მოუთმენლად ველი, მასთან ერთად ვარჯიშითაც კი არ მივარჯიშია. ჩვენ ერთნაირი მხოლოდ ვარცხნილობა გვაქვს“.

მერვედფინალში 22 წლის ხორვატმა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კარლოს მოია გაამწარა — 6:3, 4:6, 6:4.

**მერვედფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:2; პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) — ალექს კორეხა (10, ესპანეთი) 6:4, 6:3; გასტონ გაუდიო (31, არგენტინა) — ხუან კარლოს ფერერო (12, ესპანეთი) 6:0, 3:6, 6:3; იან მაიკლ გემბილი (19, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:2; როჯერ ფედერერი (24, შვეიცარია) — ტომას იოჰანსონი (25, შვედეთი) 7:6 (7:3), 5:7, 7:6 (9:7)**

**ავთანდილ სვანიძე**



ელენა დოკიჩი ვინუს უილიამსთან ვერაფერს გახდა

REUTERS კი ბისკეინიდან

## ტაი-ბრეიკი

# ასე მდიდრდებიან დასავლეთში

**გასული** კვირა ჩოგბურთელებისთვის ფრიად და ფრიად შემოსავლიანი გამოდგა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: რამდენიმე მათგანმა სხვადასხვა მოწადინებულ სპონსორთან სარფიანი კონტრაქტები გააფორმა.

ყველაფერი დები უილიამსებით დაიწყო. შავკანიანმა მულტიმილიონერებმა სალეჭი რეზინის „რიგლი დაბლმინტის“ რეკლამირება ითავეს და 3 წლის მანძილზე ბუშტების ბერვაში 7 მილიონ დოლარს მიიღებენ. აშშ-ში სალეჭი რეზინის უდიდეს მწარმოებელ ფირმას, ეტყობა, სულაც არ ანაღვლებს ბოლო ხანებში უილიამსების გარშემო ატეხილი სკანდალები და მათი იმიჯის შელახვა. ჩოგბურთელებთან კონტრაქტის დადებას მისი წარმომადგენლები უკვე რამდენიმე თვეა ცდილობდნენ და სავსებით კმაყოფილნიც დარჩნენ.

„მთელ ამ აურზაურს ყურადღებას არც ვაქცევთ — განაცხადა „რიგლის“ თავკაცმა მარკეტინგის სფეროში, როორი ფინლიმ — დების პოპულარობა მათი უნიკალური სტილიდან მომდინარეობს და ისინი ხალხის დიდ უმრავლესობას მოსწონს“.

უილიამსები, რომლებიც კომპანიის 90-წლიანი ისტორიის მანძილზე რეკლამის გაწევის მიზნით დაქირავებული პირველი სპორტსმენები არიან, საქმეს უკვე კი ბისკენში შეუდგნენ აურაცხელი ფოტოგრაფის თანდასწრებით მათ „რიგლის“ გიგანტური კოლოფი ათამაშეს ხელში და კანის შავი ფერის ფონზე ეფექტურად თეთრი კბილებითაც მოიწონეს თავი.

***

**უილიამსებს არ ჩამორჩა შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი მარატ საფინიც. 21 წლის რუსმა, რომელსაც შარშან ამ დროს ერთი ხეირიანი სპონსორიც არ მოეპოვებოდა, ჩოგნების მწარმოებელ ფირმა „დანლოპთან“ (და არა „ჰედთან“, როგორც რამდენიმე დღის წინ შეცდომით მოგახსენეთ) მოაწერა ოთხწლიან კონტრაქტს ხელი. მსოფლიოს მეორე ჩოგანი ამ ხნის მანძილზე დაახლოებით 10 მილიონ დოლარს მიიღებს.**

**საფინი, რომელსაც თამაშზე არანაკლებ ჩოგნების მტვრევა ეხერხება და ამ მაჩვენებლით ბოლო ორ სეზონში ATP-ის ლიდერიც გახლდათ (მხოლოდ მატჩების დროს ამ ხნის მანძილზე მან ასამდე ჩოგანი იმსხვერპლა), აქამდე ფირმა „ჰედის“ ალჭურვილობას იყენებდა. „დანლოპის“ მოდელ „MUSCLE WEAVE 200G-ზე ის აპრილის დასაწყისიდან გადაერთვება.**

***

**მალე** რამდენიმე მილიონით შეივსება მარკ ფილიპუსისის საბანკო ანგარიშიც. ავსტრალიელმა, რომელმაც კი ბისკეინში მესამე წრეში როჯერ ფედერერთან წააგო, იმავე დღეს გუნება ფირმა „ფილასთან“ კონტრაქტის 2004 წლამდე გაგრძელებით გამოიკეთა.

„მარკი ჩვენი ოჯახის წევრია კარიერის დასაწყისიდან და მოხარულნი ვართ, რომ ეს მნიშვნელოვანი და სტრატეგიული კავშირი ისევ გაგრძელდება — აღნიშნა ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმის პრეზიდენტმა მიქელი სკანავინომ — მისი მძლავრი მოწოდება, სპორტისა და გართობის სიყვარული ჩვენი ფირმის ფასეულობებს შეესატყვისება. ფილიპუსისი „ფილას“ ყურადღების ცენტრში ყოფნის გარანტიას აძლევს“.

„ფილას“ სხვა სახელოვან კლიენტებს შორის ჯენიფერ კაპრიატი და ელენა დოკიჩიც არიან.

# არანჩას 700

**ესპანელმა** არანჩა სანჩეს-ვიკარიომ „ერიქსონის თასის“ მერვედფინალში ელენა დემენტიევასგან მტკივნეული მარცხი იწვნია, თუმცა ფლორიდაში ისტორიული გამარჯვების მოპოვება მაინც მოასწრო.

მეორე წრეში გერმანელი ბარბარა რიტნერის 6:2, 2:6, 6:0 დამარცხებით არანჩამ პროფესიონალებში კარიერის მე-700 მოგება მიითვალა და ამით საოცრად ელიტარულ კომპანიაში ამოყო თავი. აქამდე ამდენი გამარჯვება მხოლოდ მარტინა ნავრატილოვას, კრის ევერტს, შტეფი გრაფსა და ინგლისელ ვირჯინია უეიდს ჰქონიათ ანგარიშზე.

# უცნობს დოპინგი მიუღია

**ჩოგბურთში** სადოპინგო სკანდალები იშვიათი ხილია და ძვირად ფასობს. ორი წლის წინ პეტერ კორდას ნანდროლონის მიღება დაბრალდა და თავად ჩოგბურთელის ცივი უარყოფისა და ხანგრძლივი ბრძოლის მიუხედავად, იგი დასაჯეს. ახლა კი, როგორც ჩანს, მეორე სკანდალი მწიფდება. გაურცელებული ცნობებით, დოპინგზე ჯერ ანონიმი ჩოგბურთელი გამოიჭირეს, რომელსაც იმავე ნანდროლონის ხმარებაში ადანაშაულებენ. ჟურნალისტების შრომა ჩოგბურთელის ვინაობის გამოსავლენად მხოლოდ ნაწილობრივ დაფასდა. იტყობინებიან, რომ ჩოგბურთელი კლასიფიკაციის პირველ ასეულში შედის და სამხრეთამერიკელია. თუმცა მალე ისედაც ყველაფერი გაირკვევა: ჯერ მხოლოდ A ტესტის შედეგი ყოფილა ცნობილი, ხოლო თუ B ტესტმაც ასეთივე პასუხი გასცა, ჩოგბურთელის სახელს გამოაცხადებენ. დოპინგს ჩოგბურთში ჯერ ისე არ მოუდგამს ფეხი, როგორც ვთქვათ ველოსპორტში, მაგრამ ჩოგბურთის მოთამაშეთა ასოციაცია (ATP), ალბათ, აქედანვე მიაქცევს სათანადო ყურადღებას დოპინგის პრობლემებს და ტურნირებზე დოპინგ-კონტროლის გამკაცრებაც გასკვირი არ იქნება.

რაც შეეხება ანონიმ ჩოგბურთელს, თუ მისი ბრალი დამტკიცდა, ერთწლიანი მოკვეთა ელის და საპრიზოების დაბრუნება მოუწევს.

# ნარმატების საიდუმლო — U2

**მუსიკას** შეუძლია, შინაური ცხოველების პროდუქტიულობა გაზარდოს, ხალხი გონებრივად განავითაროს და აიძულოს, ბევრი არასასურველი ნივთი იყიდოს. ამერიკელი ჯან-მაიკლ გემბილის აზრით, მუსიკა ზოგჯერ ტკივილის გამაყუჩებლის ფუნქციასაც ასრულებს.

„უკვე ერთი კვირაა, მხრის ტრავმა მაწუხებს, რომელიც არაფრით მირჩება. მაგრამ საკმარისია, U2-ს კონცერტზე წავიდე, რომ მეორე დღეს ტკივილს ვეღარ ვგრძნობ და საუცხოოდ ვთამაშობ. კარგი იქნებოდა, ხვალაც დაეკრა“ — აღნიშნა 23 წლის ამერიკელმა, რომელმაც კი ბისკეინში უკვე მეოთხედფინალში გააღწია.

ირლანდიურმა ჯგუფმა U2-მ მაიამიში თავისი ამერიკული ტურნე გახსნა და გემბილი ქალაქში გამართულ ორივე კონცერტს დაესწრო.

„ლეგენდარული ანსამბლია. წარმოუდგენელია, ოთხი ადამიანი ასე ცოტა ინსტრუმენტით ახეთი მუსიკის შექმნას როგორ ახერხებს. მანქანაში მათი კომპაქტ-დისკი მიდევს და მუდმივად ვუსმენ, თქვენ წარმოიდგინეთ, კორტზეც კი ჩუმად ვღიღინებ“.

U2-ს ჰიტი — „მშვენიერი დღე“ გემბილის ამჟამინდელ გუნება-განწყობას სწორედ რომ შესანიშნავად გამოხატავს. ამერიკელმა ბოლო ხუთ ტურნირზე მინიმუმ მეოთხედფინალს უწია, საუკეთესოთა ოცეულში პირველად შეაღწია და შეჩერებას არც ამაზე აპირებს.

როკ-კონცერტების გარდა მაიამიში გემბილმა სხვა საინტერესო გასართობიც მოძებნა. მარატ საფინსა და ტომი ჰაასთან ერთად ის აღგილობრივ დელფინარიუმს ეწვია და აუზში ზღვის ძუძუმწოვრებზე ამხედრებულმა გაისეირნა.

**ავთანდილ სვანიძე**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# როგი იმუქრება


REUTERS ბრიუსელიდან

ჟაკ როგი ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე

***მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სავარძელზე ხუან ანტონიო სამარანჩი დაბრძანდა, ლოზანაში, სოკ-ის შტაბ-ბინაში ამ ორგანიზაციის საპრეზიდენტო არჩევნები დავიწყებას მიეცა. ესპანელი მარკიზი აგერ უკვე 21 წელია, რაც ოლიმპიური მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერია. თუმცა, ყველაფერს აქვს დასასრული. სოკ-ს ახალი მესაჭე ჭირდება. ამისთვის საპრეზიდენტო არჩევნებია საჭირო. არჩევნებს 13 ივლისს მოსკოვის სესია უმასპინძლებს.***

***მანამდე კი...***

***მანამდე ლოზანაში გამოცოცხლებაა. სოკ-ში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. პრეზიდენტობის მსურველთა განცხადებების მისაღებად სოკ-ის შტაბ-ბინაში 16 აპრილამდე კარი ღიაა. საპრეზიდენტო ურნაში რა ხანია თავისი განცხადებები ჩააგდეს ყოფილმა მოფარიკავემ, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უნგრელმა პალ შმიტმა და ყოფილმა ნიჩბოსანმა. ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, პრეზიდენტობის ერთადერთმა მაძიებელმა ქალმა, ამერიკელმა ანიტა დეფრანცმა. ორშაბათს მათ მესამე კანდიდატიც მიემატა.***

***საპრეზიდენტო მარათონისთვის თავისი მზადყოფნა ოფიციალურად დაადასტურა ბელგიელმა ჟაკ როგმა.***

**დოქტორი** ჟაკ როგი საქართველოს სპორტის მოყვარულებს ალბათ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ორი ვიზიტითაც ახსოვთ. იგი პროფესიით ორთოპედი ქირურგი გახლავთ. იგი, როგორც აფროსანი („ფინის"-ის კლასში) მონაწილეობდა 1968 წლის მეხიკოს, 1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ერთხელ, ორჯერ კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. 16-ჯერ იყო ბელგიის ჩემპიონი. გარდა ამისა, ათჯერ ბელგიის მორაგბეთა ნაკრებშიც უთამაშია.

ინსბრუკისა და კალგარის ზამთრის, მოსკოვის, ლოს ანჯელესისა და სეულის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე იყო ბელგიის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი.

როგი 1988-1992 წლებში იყო ბელგიის ეოკ-ის პრეზიდენტი, 1989 წელს გახდა ევროპის ეოკ-თა ასოციაციის პრეზიდენტი. 1991 წელს აირჩიეს სოკ-ის წევრად. არის სხვადასხვა კომისიის წევრი, მათ შორის სამედიცინო კომისიისა. ფლობს მშობლიურ ფლამანდურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

როგი სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის გაცხადებისთანავე ძალზე ენერგიულად ჩაერთო საქმეში. მეტიც, ზოგს დაემუქრა კიდეც. კერძოდ, პოლიტიკოსებს მოუწოდა, ცხვირს ნუ ჩაყოფთ იქ, სადაც არ გესაქმებათო.

„გთხოვთ, ხელისუფალნო, სპორტულ მოძრაობაში ინსტრუქციების მიცემისგან თავი შეიკავეთ. ამან შეიძლება ბოიკოტამდე მიგვიყვანოს" — განაცხადა ორშაბათის პრესკონფერენციაზე ჟაკ როგმა.

შემთხვევითი არაა, რომ როგმა ბოიკოტი ახსენა.

საქმე ისაა, რომ ყოფილმა ოლიმპიურმა აფროსანმა ეს უკანასკნელი საკუთარ თავზე გამოსცადა. მაშინ, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე, მიუხედავად პოლიტიკური ზეწოლისა, ამერიკელთა ბოიკოტის ფონზე როგი ბელგიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. საერთოდ კი მას ბოიკოტზე ამგვარი განცხადებები გაუმართლებლად მიაჩნია.

გაუმართლებლად მიაჩნია ოლიმპიადების გიგანტომანიაც. ბელგიის მეფე ბოდუენის სახელობის სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე როგმა განაცხადა, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე მიღებულმა გამოცდილებამ იგი კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამა შესაკვეცია.

„ოლიმპიური თამაშების პროგრამის შემცირება ჩემი პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. თამაშები ძალზე დიდია იმისთვის, რომ სიდნეიზე პატარა ქალაქებმა მათი ორგანიზება შეძლონ. განვითარებადი ქვეყნების, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქალაქები საკუთარ თავს ამის უფლებას ვერ მისცემენ. ვიცი, რომ ასეთ მოსაზრებას სოკ-ის წევრთა უმრავლესობაც იზიარებს" — დასძინა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

როგორც აღვნიშნეთ, პრეზიდენტობის კანდიდატი პროფესიით ქირურგია. მას თავისი სამედიცინო განათლება არაერთხელ გამოუყენება სპორტის უდიდეს პრობლემასთან — დოპინგთან საბრძოლველად. თუმცა, ოლიმპიური ვალდებულებებისგან თავისუფალ დროს გენტში, თავის სახლში ორთოპედიულ ქირურგიას უბრუნდება ხოლმე.

სხვათა შორსი, მან ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო საკითხებში არსებული დაბაბულობისა და ტკივილთა გამყუჩებლის რეპუტაციაც დაიმსახურა, ახლა კი გვპირდება, გამარჯვების შემთხვევაში ქირურგობას შევეშვები და ლოზანაში, სოკ-ის შტაბ-ბინაში მედიკოსებთან მოხალისედ ვიმუშავებო. თუმცა, იქვე დასძინა, ჩემი გამოცდილება, როგორც ექიმისა, მოვალეობის შესრულებაში დამეხმარებაო.

„ჩემს პროფესიაში, ყოველდღიური ცხოვრების კრიტიკულ ვითარებაში, გადაწყვეტილებები უნდა მივიღო და გამოვიჩინო პასუხისმგებლობა" — განაცხადა როგმა.

საგულისხმოა, რომ 1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც როგი სოკ-ის წევრი გახდა, ძალზე მალე აინაცვლა იქაური იერარქიის ზედა საფეხურებზე.

სხვათა შორის, მას ადრევე მიიჩნევდნენ სოკ-ის პოტენციურ პრეზიდენტად, თუმცა ამაში მას ხელი შეუწყო სამარანჩის გავლენამაც, რომელმაც ზედა ეშელონებისკენ გაუკაფა გზა. ერთხელ, 1998 წელს, იგი სოკ-ის უმთავრეს აღმასრულებელ საბჭოშიც აირჩიეს. მოგვიანებით კი სამარანჩმა უფრო დააწინაურა, როდესაც სიდნეის ოლიმპიური თამაშების სოკ-ის ზედამხედველი ორგანოს ხელმძღვანელობა ჩააბარა.

დაკავებული თანამდებობით იგი უმალ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მისდამი განსაკუთრებული სიმპათიით განეწყვნენ ავსტრალიელი მედიის წარმომადგენლები. ეს კი, მოგეხსენებათ, არც ისე იოლია. ამისთვის მართლაც რაღაც განსაკუთრებული თვისებები უნდა გაგაჩნდეს. პირველ რიგში — წესიერება.

სხვაგვარად ჩვენი კოლეგების კალამი ძალზე მწარე აღმოჩნდება.

როგისადმი ავსტრალიელთა სიმპათიები იმანაც განაპირობა, რომ ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე წამოჭრილი წინააღმდეგობანი მან უმტკივნეულოდ მოაგვარა. საერთო ჯამში კი, მოგეხსენებათ, სიდნეის ოლიმპიური თამაშები საუკეთესოდ აღიარეს. ამაში წვლილი ჟაკ როგსაც მიუძღვის.

**გიგა გურასაშვილი**



ჟაკ როგის მეორე ვიზიტი თბილისში. მარცხნიდან: ჯანო ბაგრატიონი, ჟაკ როგი, ნონა გაფრინდაშვილი, სეოკ-ის განყოფილების გამგე რუსუდან აფციაური და საქართველოს მაშინდელი ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი




ჟაკ როგი მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე



# ახალციხეში ჭიდაობენ

**23-24 მარტს** ქალაქ ახალციხეში, სასაზღვრო ჯარების სპორტულ დარბაზში გაიმართა ახალციხის რაიონის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქების ახალციხის და ვალეს, აგრეთვე სოფლების — არალის, ზიკილიის, წნისის გუნდებმა. რაიონის პირველობაში მონაწილეობდა 96 მოჭიდავე.

შეჯიბრების ორგანიზება და სპონსორობა ითავა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის სამცხე-ჯავახეთის ფილიალმა. რამდენიმე პრიზი დააწესეს სასაზღვრო რაზმ „ახალციხის" და ახალციხის ნიკო ბეგიაშვილის სახელობის კოლეჯის ხელმძღვანელობამ. პრიზიორები დაჯილდოვდნენ სიგელით და ფასიანი საჩუქრებით. ყველაზე ტექნიკურ და პერსპექტიულ მოჭიდავეებს გადაეცათ სპორტული ჩანთები და ფორმები.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**1987-1990 წლებში დაბადებულები. 35 კგ: 1. მამუკა ბათმანაშვილი (არალი), 2. თემურ ცუცქირიძე (ახალციხე), 3. ოთარ მიქელაძე (ახალციხე); 38 კგ: 1. ირაკლი აფრიამაშვილი (არალი), 2. თემურ ბლიაძე (ზიკილია), 3. ლევან გელაშვილი (ზიკილია); 42 კგ: 1. დათო ჯვარიძე (ახალციხე), 2. პეტრე მანველიშვილი (ვალე), 3. ივანე ჩილინგარაშვილი (არალი); 46 კგ: 1. მამუკა კურტანიძე (წნისი), 2. ზურიკო კაკაჩიშვილი (ვალე), 3. ირაკლი თელიაშვილი (ვალე); 50 კგ: 1. იაშა მიქელაძე (ახალციხე), 2. ვახო თათეშვილი (არალი), 3. გიორგი კუჭაძე (აგარა); 54 კგ: 1. ზაზა საგინაძე (ახალციხე), 2. პეტრე ნადირაძე (არალი), 3. თემურ ჩუტკერაშვილი (ახალციხე); 58 კგ: 1. გიორგი ბიჩინაშვილი (არალი), 2. ზაზა კაქკაჭიშვილი (არალი), 3. გიორგი ბალდოშვილი (ახალციხე); 63 კგ: 1. რატი თათეშვილი (არალი), 2. ბექა ჯინიუზაშვილი (ახალციხე), 3. ალექსანდრე ჭალიაშვილი (ახალციხე); 69 კგ: ილია აფრიამაშვილი (არალი), 2. ვანიკო გაჩეჩილაძე (ზიკილია), 3. გიორგი გაჩეჩილაძე (ახალციხე); 76 კგ: ავთო მამუკაშვილი (ახალციხე).**

**1991-1994 წლებში დაბადებულები. 20 კგ: 1. ლერი თუმანიშვილი (არალი), 2. ბექა ლონდარიძე (ახალციხე), 3. იმედა ბახტურიძე (არალი); 23 კგ: 1. ვალიკო კაკაჩიშვილი (ახალციხე), 2. გელა მაჭარაშვილი (არალი), 3. დემეტრე მანველიშვილი (ვალე); 26 კგ: ლერი კაჭკაჭიშვილი (არალი), 2. გოგა აფრიამაშვილი (არალი), 3. რატი ქომოშვილი (არალი) და ნუკრი ნადიბაიძე (ახალციხე); 29 კგ: 1. დათო თათეშვილი (არალი), 2. დიმიტრი მუმლაძე (ზიკილია), 3. გიორგი დიაკონაშვილი (ახალციხე); 32 კგ: 1. კახა კუსიანი (არალი), 2. თორნიკე თათეშვილი (არალი), 3. ივანე აფრიამაშვილი (არალი); 35 კგ: 1. თემურ ფეიქრიშვილი (არალი), 2. სტეფანე კაჭკაჭიშვილი (არალი), 3. სოსო აფრიამაშვილი (არალი); 38 კგ: 1. დათო თელიაშვილი (ვალე), 2. გიორგი ბლიაძე (ზიკილია), 3. თორნიკე ნასყიდაშვილი (ვალე); 42 კგ: 1. დათო ჩიტაშვილი (ახალციხე), 2. ვალერი კუჭაძე (ზიკილია), 3. სერგეი ხაჩატურიანი (ახალციხე); მძიმე წონა: 1. ვახტანგ კიკაბიძე (ახალციხე).**

მანამდე ჭაბუკმა ახალციხელმა ფალავნებმა მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოში გამართულ არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირში. მათ ერთი პირველი, სამი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონი გახდა თემურ ცუცქირიძე (29 კგ), მეორე ადგილზე გავიდნენ ნუკრი ნადიბაიძე (23 კგ), სერგო ბათმანაშვილი (29 კგ) და იაშა მიქელაძე (50 კგ), მესამეზე — ვანიკო გაჩეჩილაძე (73 კგ).

# ოლიმპიადის დამამშვენებლები

## სოლტ ლეიკ სიტიში თამაში უამრავ ვარსკვლავს სურს



მარიო ლემიე სოლტ ლეიკ სიტიში ითამაშებს

**მოგეხსენებათ, 2002 წელს აშშ-ის ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში ზამთრის ოლიმპიადა გაიმართება. სპორტში პროგნოზების კეთება, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ისევე როგორც წინას, ამ ოლიმპიადასაც ჰოკეისტთა ტურნირი დაამშვენებს. ესოდენ მომზიდველს მას დიდი ოსტატების მონაწილეობა ხდის: პეტერ ფორსბერგი, ჯო საკიკი, იარომირ იაგრი, პაველ ბურე, თვით მარიო ლემიეც კი ეწევა ზამთრის სახეობათა მთავარ შეჯიბრს. ნჰლ-ისა და იიჰფ-ის (ჰოკის საერთაშორისო ფედერაცია) შორის დადებული კონტრაქტის თანახმად, ექვსი წამყვანი ქვეყნის ეროვნულმა ფედერაციებმა წინა კვირაში თავიანთი შემადგენლობის ბირთვი დაასახელეს. ეს ნამდვილი ვარსკვლავცვენაა — ლიგის პრაქტიკულად ყველა სახელოვანმა მოთამაშემ თანხმობა განაცხადა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე!**

### შვედეთი

სკანდინაველებმა ერთბაშად ათი ჰოკეისტის ვინაობა გაამხილეს, მათ შორისაა წლევანდელი „ოლ სტარის“ ოთხივე მონაწილე. კოლორადოელი პეტერ ფორსბერგისთვის ეს რიგით მესამე ოლიმპიადა იქნება. 1994 წელს იგი ტურნირის მთავარი გმირიც გახდა, როცა ფინალში კანადელებს გადამწყვეტი ბულიტი გაუტანა.

ტორონტოელი მატს სუნდინი თავის მეორე ოლიმპიადაზე ითამაშებს, ხოლო „ნორის ტროფის“ ერთ-ერთი მაძიებელი, დეტროიტის მცველი ნიკლას ლიდსტრომი და ვანკუვერის კაპიტანი მარკუს ნესლუნდი დებიუტს გამართავენ.

მათ გარდა სიაში მოხვდნენ ედმონტონის საუცხოო მეკარე ტომი სალო, მცველები — მატიას ნორსტრომი (ლოს ანჯელესი), მატიას ოლუნდი (ვანკუვერი) და ფორვარდი, ოტავას კაპიტანი დანიელ ალფრედსონი. დანარჩენი ორის არჩევა კი ერთგვარად მოულოდნელი გახლდათ, რადგან მიქაელ რენბერგი და იორგენ იუნსონი ამჟამად ევროპაში თამაშობენ, თანაც მეორემ შარშან ნჰლ-ში გატარებული ნახევარი სეზონის შემდეგ შინ დაბრუნება ამჯობინა.

### ჩეხეთი

ჩეხები, რომლებიც ბოლო წლებში ლამის ყველა დიდ ტურნირს იგებენ, სოლტ ლეიკ სიტიშიც იმედით ალსავსენი მიემგზავრებიან. მათი ფედერაციის ორი რჩეულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა — ისინი ხომ ნაგანოს ტრიუმფატორები, ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკი და პიტსბურგელი იარომირ იაგრი არიან.

ნაკრებში გამოიძახეს ტამპას მცველი პეტრ სვობოდაც და ეს მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით იგი მძიმედ დაშავებული გახლავთ.

დანარჩენი ხუთი ჰოკეისტი ფორვარდია. ესენი არიან: მარტინ სტრაკა (პიტსბურგი), მარტინ რუჩინსკი (მონრეალი), მილან ჰეიდუკი (კოლორადო) და ნიუ ჯერსის წამყვანი ტანდემი — პატრიკ ელიაში და პეტრ სიკორა.

ჩეხებმა ერთი სათადარიგო მოთამაშეც დაასახელეს — ოტავას თავდამსხმელი რადეკ ბონკი.

„ნებისმიერი გუნდის თავკაცი იამაყებდა ასეთი შეგირდებით“ — წაიტრაბახა ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა ფრანტიშეკ ჩერნიკმა.

### რუსეთი

ერთადერთი, რაც რუსებს ბოლო წლებში სახიამოვნოდ აგონდებათ, ეს ნაგანოს ოლიმპიადაზე მოპოვებული ვერცხლია და ახლაც არ მალავენ, რომ აშშ-ში მედლის მოსაგებად მიდიან. ამისთვის მათ სიაში, პირველ ყოვლისა, ის სამი ჰოკეისტი შეიყვანეს, რომლებიც წლეულს ბრწყინვალედ თამაშობენ. პიტსბურგელმა ალექსეი კოვალიოვმა სწორედ ამ სეზონში გამოავლინა თავისი პოტენციალი, მისმა ოტაველმა სეხნიამ, იაშინმა საკონტრაქტო ომის შემდეგ შეძლო, კვლავ დაებრუნებინა კლუბის ქომაგთა სიყვარული, პაველ ბურე კი, როგორც იცით, საოცარ შედეგიანობას აჩვენებს.

ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი დეტროიტელმა სერგეი ფიოდოროვმაც გამოთქვა, მაგრამ რადგან ჯერ საბოლოო თანხმობა არ განუცხადებია, მისი საკითხი გაურკვეველია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ სოლტ ლეიკ სიტიში ძალას ცდის ოთხი მცველი: პიტსბურგელი დარიუს კასპარაიტისი, ვაშინგტონელი სერგეი გონჩარი, ტორონტოელი დმიტრი იუშკევიჩი და ანაჰაიმელი ოლეგ ტვერდოვსკი. აი, ნიკოლაი ხაბიბულინის არჩევამ კი ყველა გააკვირვა — ფენომენ მეკარე ხომ მხოლოდ წლინახევრის შემდეგ დაუბრუნდა ნჰლ-ს. თუმცა რუსთა თავკაცი ბორის მიხაილოვი მას ძალიან ენდობა. „დღესდღეობით ხაბიბულინი ჩვენი საუკეთესო მეკარეა“ — ამბობს მწვრთნელი. მოგეხსენებათ, რუსეთის ნაკრებში თამაში ფაზახეთის მოქალაქე ევგენი ნაბოკოვსაც სურდა, მაგრამ იიჰფმ მას უარი უთხრა.

### ფინეთი

„სუომის“ მესამე ადგილი ნაგანოს ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი გახლდათ. ფინელებმა თვით კანადა დატოვეს უძლიერეს სამეულს მიღმა, ხოლო მაშინდელი ტურნირის საუკეთესო ფორვარდები, საყოველთაო აზრით, ტეემუ სელიანე (სან ხოსე) და საკუ კოივუ (მონრეალი) იყვნენ. სწორედ ეს წყვილი გაუძღვება გუნდს მომდევნო ოლიმპიადაზეც, მათი პარტნიორი კი დალასელი იერე ლეჰტინენი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ნაგანოში ტრიომ ამ შემადგენლობით იასპარეზა და თავად კოივუმ, რომელმაც ნჰლ-ში თავისი დიდი პოტენციალი ვერ გამოავლინა, მაგრამ საერთაშორისო შეჯიბრებს საუცხოოდ ატარებს, ამის დიდი სურვილი გამოთქვა.

დანარჩენი ხუთი მოთამაშისგან სამი მცველია, ფინიქსელი ტეპო ნუმინენი, ედმონტონელი იანე ნიინიმა და ნეშვილელი კიმო ტიმონენი, ხოლო ორი ფორვარდი — ფინიქსელი იუჰა ილონენი და კაროლინელი სამი კაპანენი.

საინტერესოა, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველა მონაწილეობდა ნაგანოს ოლიმპიადაში. ნაკრებში „სუომის“ ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტი იარი კურიც იქნება, ოღონდ როგორც მწვრთნელ ჰანუ არაკისტას თანაშემწე.

### აშშ

ნაგანოს ოლიმპიადაზე ამერიკამ დიდი კრახი განიცადა. განსაკუთრებით აშშ შერცხვა მეოთხედფინალში ჩეხებთან მარცხის შემდეგ მათ სასტუმროში დებოში მოაწყვეს, რითაც ქვეყნის პრესტიჟი შელახეს. აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტის მოთავეებად სწორედ გუნდის ლიდერებს ასახელებდნენ, მაგრამ დღემდე ეს ოფიციალურად არ დადასტურებულა. ამერიკამ მათ ყველაფერი აპატია და 2002 წელს ქვეყნის შერყეული ავტორიტეტის აღდგენას კვლავ ეს მოთამაშეები შეეცდებიან.

ათი ჰოკეისტიდან ცხრა წინა ოლიმპიადაზეც იყო. ესენი არიან: მცველი ბრაიან ლიჩი და ფორვარდები: ბრეტ ჰალი, მაიკ მოდანო (ორივე დალასი), ჯერემი რენიკი (ფინიქსი), კეიტ ტკაჩუკი (სენტ ლუისი), ჯონ ლეკლერი (ფილადელფია), ტონი ამონტე (ჩიკაგო), დუგ უეიტი (ედმონტონი) და ბილ გერინი (ბოსტონი). ერთადერთი ახალბედა კოლორადოელი კრის დრური გახლავთ. აქედან ორს, ტკაჩუკს (1992 წელს) და ლიჩს (1988) კიდევ ერთ ოლიმპიადაზე მიუღიათ მონაწილეობა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ათიდან რვამ 1996 წელს ნაკრების რიგებში მსოფლიოს თასი მოიპოვა.

თავკაცობა ჰერბ ბრუკსს და კრეიგ პატრიკს დაევალა. ბრუკსი 1980 წელს აშშ-ს სტუდენტებით დაკომპლექტებულ ნაკრებს წარუძღვა. მაშინ ამერიკელებმა მოულოდნელად უძლეველ საბჭოთა მანქანას მოუგეს და ოქრო მოიპოვეს, რასაც შემდეგ „ყინულის სასწაული“ უწოდეს.

### კანადა

მთავარი სენსაცია, მაინც კანადამ მოახდინა.

მართალია, ლემიემ დაბრუნებისთანავე განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი მიზანი ოლიმპიადაზე მონაწილეობაა, მაგრამ ეს ბოლომდე არავის სჯეროდა. და აი, ნაკრების აღმასრულებელმა დირექტორმა, „დიადმა“ უეინ გრეცკიმ ეს რეალობად აქცია — 2002 წელს კანადას სწორედ მარიო უკაპიტნებს. „ლემიე ელიტარული მოთამაშეა, დღესაც შეუდარებელია. ამიტომ თუ ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, ჩვენს ნაკრებს ძალიან გააძლიერებს“ — თქვა გრეცკიმ და დასძინა, რომ მომავალ წელს ლემიე უეჭველად სრულ მზადყოფნაში იქნება.

ლემიეს პარტნიორებიც დიდებული ვჟოლება: მცველები: რობ ბლეიკი (კოლორადო), კრის პრონგერი (სენტ ლუისი), სკოტ ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი); ფორვარდები: პოლ კარია (ანაჰაიმი), ოუენ ნოლანი (სან ხოსე), ჯო საკიკი (კოლორადო) და სტივ აიზერმანი (დეტროიტი). ამ სიაში სენტლუისელი ელ მაკინისიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარიო დაბრუნდა და ნაკრებში მოხვედრის სურვილი გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ გრეცკის მიერ არჩეული ყველა მოთამაშე ვეტერანია და სიაში არც ერთი მეკარე არ მოხვდა. ერიკ ლინდროსიც არ არის განაცხადში. თუმც უეინის თქმით, თუ ერიკი მომდევნო სეზონში კვლავ დაიწყებს ასპარეზობას, მისი შანსები მკვეთრად გაიზრდება.

**სამველ ლარიბიანი**

---

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

პიტსბურგი — ბუფალო. იარომირ იაგრი (№68) და ბუფალოელი ალექსეი ჟიტნიკი

# რიჩი მონარქიას ამხობს

27 მარტი

**პიტსბურგი 4:1 ბუფალო (2:0 1:0 1:1)**
1:0 ჰ. იუნსონი 1 (3), 2:0 ლანგი 1 (32), 3:0 სტივენსი 25 (10), 3:1 ანდრეიჩუკი 44 (18), 4:1 იაგრი 46 (44)

**კალგარი 3:0 კოლუმბუსი (0:0 2:0 1:0)**
1:0 იგინლა 34 (31), 1:0 კლარკი 38 (6), 3:0 ჟ. ბურე 42 (26)

**ტამპა 1:7 ნიუ ჯერსი (0:1 1:3 0:3)**
0:1 არნოტი 16 (20), 1:1 მოდინი 21 (32), 1:2 ნიდერმაიერი 26 (6), 1:3 მოგილნი 32 (36), 1:4 მოგილნი 37 (37), 1:5 მაკეი 42 (21), 1:6 პოლიკი 47 (14), 1:7 სიკორა 60 (33)

**სან ხოსე 3:2 ლოს ანჯელესი (0:0 1:2 1:0 1:0)**
0:1 რობიტაილი 26 (36), 0:2 შტუმპელი 39 (15), 1:2 რიჩი 39 (15), 2:2 კოროლიუკი 57 (9), 3:2 რიჩი 62 (16)

სან ხოსეს ქომაგებს ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს პესიმიზმისთვის არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ. გუნდი თავის ისტორიაში საუკეთესო სეზონს ატარებდა, თვით დალასსაც კი უსწრებდა წყნარი ოკეანის დივიზიონში და პლეი ოფისკენ დამაჯერებლად მიიწევდა. მაგრამ გაზაფხულმა „ზვიგენებს“ მხოლოდ უსიამოვნებები მოუტანა: ჯერ კაპიტან ოუენ ნოლანის 11-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, შემდეგ ფორვარდების გაჭიანურებული უიღბლობა. სახელოვანი ტეემუ სელიანეს მისვლამაც ვერ გამოიღო უცებ ნაყოფი და მარტის 14 თამაშში 9 წაგებისა და მხოლოდ ერთი მოგების შემდეგ სან ხოსემ არა მარტო დივიზიონის ლიდერობა დაკარგა, არამედ პლეი ოფში გასვლაც საეჭვოდ გაიხადა. აი, ასეთ დღეში იყვნენ „ზვიგენები“, როდესაც ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს, ლოს ანჯელესს დაუპირისპირდნენ. ეს დუელი ორმატჩიანი იყო და პირველი უგოლო ფრით დასრულდა, თანაც „მეფეები“ ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ, მეორე შეხვედრაშიც ისეთი პირი უჩანდა საქმეს, რომ სან ხოსეს კრიზისი კვლავ გაგრძელდებოდა. 39-ე წუთზე მასპინძლები 0:2 ჩამორჩნენ, არაფერი გამოსდიოდათ და არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა მათ, რომ არა მაიკ რიჩი. ამ ჰოკეისტმა ლიდერობა თავის თავზე აიღო და მეორე პერიოდის მიწურულს ერთი გოლი გაქვითვით პარტნიორები გამოაფხიზლა. ბოლო მესამედში სან ხოსე უკვე სულ სხვა გუნდი იყო. გააქტიურდა სელიანეც. სწორედ მისი წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა ალექსანდრ კოროლიუკმა, ხოლო ოვერტაიმში ფინელმა ფარული პასით იგივე რიჩი მოძებნა და შეუპოვარმა მაიკმა ესოდენ ცუდად დაწყებული საქმე იღბლიანად დაამთავრა.

წინა შაბ დღეში შესრულებული ორი შათაუტის შემდეგ ბუფალოს მწვრთნელებმა დომინიკ ჰაშეკი დაასვენეს და პიტსბურგთან კარის დაცვა მარტინ ბირონს ანდეს. მაგრამ ხანგრძლივი უქმეების შემდეგ დასაქმებულმა მარტინმა ყინულზე მოშინაურებაც ვერ მოასწრო, რომ პირველივე წუთზე ორი შაიბა გაუშვა. 47-ე წამზე მარიო ლემიესა (2 პასი) და იარომირ იაგრის (1 გოლი, 1 პასი) კომბინაცია მცველმა ჰანს იუნსონმა დაასრულა, ხოლო შეხვედრის განახლებიდან სულ რაღაც 12 წამში მასპინძლებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. მარტინ სტრაკამ შაიბა ცენტრიდან წამოიღო, რობერტ ლანგს გადააწოდა და მისი შორეული დარტყმა ბირონისთვის მოულოდნელი გამოდგა. ეს იყო და პიტსბურგს თამაშის სადავეები ხელიდან აღარც გაუშვია.

13-მატჩიანი ფანტასტიკური სერიის დასრულებამ ნიუ ჯერსი ისე გააცოფა, რომ მთელი ჯავრი აუტსაიდერ ტამპაზე იყარა. „ელვებთან“ წლეულს მოგებულ ოთხივე მატჩში „ეშმაკებმა“ 25 გოლი მიითვალეს, ამჯერად კი საუკეთესო ბობი ჰოლიკი (1 გოლი, 3 პასი) გახდა.

**სამველ ლარიბიანი**

---

## მთამსვლელობა

# ტრაგედია დაშვებისას

**თებერვალში** ოთხი პერმელი მთამსვლელი შეეჭიდა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის, იალბუზის დასავლეთ ფერდობზე აღმართულ 600-მეტრიან ფრიალო, ვულკანურ კედელს, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზამთარში ვერავინ დალაშქრა. ორი კვირის მერე როცა ისინი აღარ გამოჩნდნენ, მაშველი რაზმი გაემართა და ორი მთამსვლელის გვამი იპოვა.

დაღუპულთა ცხედრების მიხედვით მაშველები ვარაუდობენ, რომ მათ მიზნისთვის მიუღწევიათ, მაგრამ დასავლეთის ფერდობზე დაშვებისას ნისლსა და ავდარში გზა აბნევიათ. მაშველებს მიახლოებითაც ვერ დაუდგენიათ, თუ როდის დაიღუპნენ მთამსვლელები. მათივე ვარაუდით, მეორე წყვილმა თავის შესაფარებლად ალბათ უხიფათო ადგილი მოძებნა, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ ამდენ ხანს ცოცხლებს გაეძლოთ.

ყინვართა დნობისა და საგაზაფხულო ზვავების საშიშროების გამო მაშველმა რაზმმა დაკარგულ მთამსვლელთა წყვილის ძებნა ზაფხულამდე შეწყვიტა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# მისტერ პიტკინი მტრის ზურგში




REUTERS ტირანიდან



ამ პირდაღებულ მოხუც კაცს ამოიცნობთ სწორედ ამ პირდაღებულობის გამო. იყო დრო და მილიონები ხარხარებდნენ ნორმან უიზდომის ბრიყვი, კეთილი და მოხერხებული კინოგმირის — მისტერ პიტკინის ცქერისას. რაღა თქმა უნდა, მისტერ პიტკინი პენსიონერია, ფილმებში აღარ თამაშობს და მოუსვენარი მოხუცის ცხოვრებით კი ცხოვრობს. ფეხბურთის დიდი ქომაგი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ჩაჰყოლია ინგლისის ნაკრებს და იქ თავისებურად ოხუნჯობს. მთავარი კი ის არის, რომ ინგლისელებს ჰაერივით სჭირდებათ მოგება და მისტერ პიტკინიც ყვირის: „მიდი, ინგლისო"!



REUTERS ჰონკონგიდან

## მშვენიერი ფუ

ჩინეთის ყველაზე მოხდენილი სპორტსმენი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი წყალში ხტომაში, ფუ მინსია ჰონკონგში ჩასულა და იქ ჩინური სპორტის გამოჩენილ პიროვნებათა დაჯილდოვებაში ჩართულა. თავადაც დასაჯილდოებელ ფუს, ამ ჯერზე პრიზი გადაუცია ინვალიდთა ოლიმპიადის სამგზის რეკორდსმენ სო ვაჰვაისთვის.



REUTERS იოჰანესბურგიდან

## თადარიგი დაუჭერია

იოჰანესბურგის ახლოსავლეთით, კარნავალ სიტის გასართობ ცენტრში 22 აპრილს დიდი კრივი გაიმართება. მძიმე წონის უდავო ჩემპიონი ლენოქს ლუისი თავის ტიტულებს ამერიკელი ჰასიმ რაჰმანის ხელყოფისაგან დაიცავს. ჯანიან ჰასიმს ადრევე დაუჭერია თადარიგი და უკვე სამხრეთ აფრიკაშია — ბოლო სამ კვირას აქვე ვივარჯიშებო.

## მურნინგი დაბრუნდა

ამერ ახლა იყო, რომ „მაიამი ჰითის" განთქმული ცენტრი ალონზო მურნინგი თირკმლის მძიმე ავადმყოფობას ისე შეეწუხებინა, რომ მისი ძმაკაცი პატრიკ იუინგი ამბობდა, ჩემს თირკმელს მივცემო. ამ თირკმლის გადამკიდეს, ალონზოს წლეულს არც უთამაშია და აჰა, ყველასთვის მოულოდნელად პრესკონფერენცია მოუწვევია მაიამელთა მწვრთნელ პატ რაილისთან ერთად და გამოუცხადებია, თამაშს ვიწყებო. ექიმთა გადაწყვეტილებით, მურნინგის თირკმელი ყოველდღიურად შემოწმდება და მოედანზეც ამის მიხედვით გავა. ამასობაში კი ალონზომ უკვე ითამაშა თვრამეტი წუთი „ტორონტო რეპტორზის" წინააღმდეგ და ცხრა ქულაც ჩააგდო. თუმცა, „მაიამიმ" წააგო 92:101.




REUTERS მაიამიდან

## რიჩარდი შვილს ულოცავს

კი ბისკეინის საჩოგბურთო ტურნირზე ვინუს უილიამსი ფინალისკენ მიიწევს. მეოთხედფინალში იუგოსლაველი ელენა დოკიჩი დაუმარცხებია 6:2, 6:3. რა თქმა უნდა კორტის ტერასაზე ხარობდა დებ უილიამსების მამა და მწვრთნელი, ახირებული რიჩარდი, რომელიც, სიმართლე ითქვას და, ბოლოხანს მობერებული ჩანს.



REUTERS კი ბისკეინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge